სპორტი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 30 აგვისტო 2006 №199 (2821) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ უკრები ნაკრებს დაემსგავსა

ეროვნული მნიშვნელობის რეისი: აეროპორტი — ვაკე

ფრანგები გერმანელის წინააღმდეგ

გუშინ რაიმონ დომენეკი ალენ ჟირესს შეხვდა და საქართველოს ნაკრებზე ესაუბრა

გადრი კვირკვაია ფოტო

ტრეზეგეს კუნთი დაეჭიმა, დომენეკს ნერვები

ძალიან დიდი შანსია, დავიდ ტრეზეგემ თბილისში საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ვერ ითამაშოს — ასეთი ცნობა გაავრცელეს გუშინ ფრანგულმა საგენტოებმა.

საფრანგეთის ნაკრებმა სათბილისო მზადება კლერფონტანის ბაზაზე დაიწყო და პირველივე ვარჯიშზე ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი დაუშავდა — ტურინის „იუვენტუსის" ფორვარდს კუნთი დაუზიანდა და წინასწარი დიაგნოზით, საქართველოსთან ვერ ითამაშებს.

„ჯერჯერობით გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი. ისე კი, ტრეზეგეს თამაში მართლაც ძალიან საეჭვოა" — განუცხადა ჟურნალისტებს ფრანგთა თავკაცმა რაიმონ დომენეკმა.

ტრეზეგეს გარდა, გუშინ ვერც მაწესტერელმა ლუი საამ ივარჯიშა, თუმც მედიის ცნობით, ტრეზეგესთან შედარებით, ამ თავდამსხმელის თამაშის შანსი გაცილებით მეტია.

ვნახოთ, რას იტყვიან ექიმები საფუძვლიანი გამოკვლევის შემდეგ. შეგახსენებთ, რომ ფრანგები თბილისში 1 სექტემბერს ჩამოვლენ.

კახა შალამბერიძე

ქართველებმა თავდასხმა იციან, დაცვაში აშკარა პრობლემებია

ყაჩაღობა ეთერში

გადრი კვირკვაია ფოტო

2 სექტემბერს

VEGA SLOT გთავაზობთ სიურპრიზს

გაფრი ჯიმშელაძის ფოტო

დაცვაში აშკარა პრობლემებია

გუშინ, ნაშუადღევს, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სალაროში ჩემი ჭკუით ბილეთი ვიკითხე–

— მერვე ან მეცხრე სექტორის ბილეთები გაქვთ?

— არა და არც გვექნება.

ასე მკვახედ მიპასუხეს და საპასუხო კითხვაც ბუნებრივად გაჩნდა:

— რატომ?

— ვერ ხედავ, სალარო დააყაჩაღეს.

დააყაჩაღესო?! რა ვიცოდით, თურმე ბილეთების თაობაზე პროკურატურის გამომძიებელს ვეკითხებოდით, ვისაც დიდი კეისი ზედ მაგიდაზე გაეშალა და თავის საქმეს გულდასმით აკეთებდა.

რა მოხდა, როგორ? იქვე, სტადიონის ცენტრალურ შესასვლელთან კრიმინალური პოლიციის 30-მდე თანამშრომელი საქმიანობდა. მათ საუბარში რამდენიმე ვერსია ისმოდა და, აბა, რომელი ერთი დავასახელოთ. გამომძიებამ თავისი საქმე იცის, აქ კი ის ამბავი მოვყვეთ, რომელიც ჩვენმა კოლეგამ საზოგადოებრივი არხიდან ფირზე შემთხვევით აღბეჭდა და მერე, ცოტა არ იყოს, დაბნეულმა, ჩვენ მოგვითხრო...

...სადღაც ორი საათი იყო, საზოგადოებრივი არხის ოპერატორი ბილეთების გაყიდვის პროცესს კამერით იღებდა, როცა სალაროში შეიარაღებულები შევარდნენ. ერთიორი გაისროლეს, ფულით სავსე მაგიდის უჯრას ხელი დასტაცეს და გაიქცნენ. როგორც გავიგეთ, სალაროში ორი შეიარაღებული შევარდნილა, ერთმაც სტადიონის უიარაღო დაცვის თანამშრომლები ერთ ოთახში შეყარა და იარაღით დაემუქრა... ყველაფერი წამებში მოხდა. სტადიონის დარაჯმა გაქცეული დამნაშავეებისთვის წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

გამომძიებლებმა და დანაშაულის ადგილზე მისულმა სხვა სამართალდამცავებმა ყველანაირი კომენტარისგან თავი შეიკავეს, ახლა ვერაფერს გეტყვითო. მოგვიანებით კი სტადიონის დირექტორმა გივი ჭანტურიძემ გვითხრა, რომ გუშინ „მიხეილ მესხის“ სალაროებში მხოლოდ 40-ლარიანი ბილეთები იყიდებოდა.

როცა ნაკრების ვარჯიში იწყებოდა, გატაცებული თანხის ზუსტი ოდენობის დასადგენად გამომძიებლებმა ორ მოლარეს გაუყიდავი ბილეთებით ცალკე უხმეს და დასათვლელსაც იქ დათვლიდნენ.

სხვათა შორის კი ითქვა, დაახლოებით 25-30 ათასი ლარია წაღებულიო.

ძოგა ინასარიძე

ვ ურაკ ფოლადაშვილის ფოტო

გუშინ, როცა „მიხეილ მესხის“ სალაროს აყაჩაღებდნენ, „ეროვნულზე“ რიგი იდგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასერბეთო პატარები
მინგეჩ თვრამეტი გადათვალა

3 სექტემბერს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ტურნირის საკვალიფიკაციო შეხვედრაში სერბეთის ახალგაზრდულ ნაკრებს უმასპინძლებს — მატჩი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება.

ჩვენი 21-წლამდელების თავკაცმა რალფ მინგემ სასერბეთო შემადგენლობა დაასახელა...

მეკარეები

რევაზ თევდორაძე (მ. ზაპოროჟიე, უკრაინა), გიორგი ლორია (დინამო);

მცველები

გიორგი სეთურიძე (ოლიმპი), დავით მჭედლიშვილი (ამერი), შოთა კაშია (დინამო), აკაკი ხუბუტია (ვილნიუსი, ლიტვა), გულვერდ თომაშვილი (დინამო), ზაალ ელიავა (სკონტო, ლატვია), გიორგი ნავალოვსკი;

ნახევარმცველები

მირზა ბჟალავა (ზესტაფონი), გიორგი მერებაშვილი (დინამო), შოთა გრიგალაშვილი (დინამო), ალექსანდრე კობახიძე (დინამო), ვასილ ღუჭაშვილი (ვიტ ჯორჯია), გოგი ფიფია (ზესტაფონი);

თავდამსხმელები

ნიკა გელაშვილი (ვიტ ჯორჯია), რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), სანდრო იაშვილი (დინამო).

შეგახსენებთ, რომ ჯგუფის პირველ მატჩში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები კუნასში ლიტვასთან 0:1 დამარცხდა.

კახა შალამბერიძე

DANKE HERR DIETER!

უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში თბილისის „ამერი“ ბერლინის „ჰერტას“ დაუხვდა და გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს ტოლი არ დაუდო. თბილისური შეხვედრა, რომელმაც ქართული ფეხბურთის გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია, ერთობ დაძაბული და საინტერესო გამოდგა, თუმც ამჯერად გვინდა, თქვენი ყურადღება ერთ საინტერესო ამბავზე გავამახვილოთ — თბილისური მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე „ჰერტას“ გენერალური მენეჯერი დიტერ ჰიონესი ძეგვის ბავშვთა სახლს ესტუმრა. მან კლუბის სახელით ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს ჰუმანიტარული დახმარების სახით პროდუქტები და სასწავლო ნივთები ჩაუტანა, თან გარკვეული თანხაც გადაურიცხა.

მადლობა დიტერ ჰიონესს და ბერლინის „ჰერტას“!

სულხან იაშვილი

თბილისის ფეხბურთის გულშემატკივართა ასოციაციის პრეზიდენტი

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

იტალიას ფინალამდე ლიტვა ელის

მსოფლიოს ჩემპიონი იტალია ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლს 2 სექტემბერს ლიტვასთან საშინაო მატჩით იწყებს. ოთხ დღეში კი პარიზში მუნდიალის ფინალის „გამეორებაა“: საფრანგეთი — იტალია.

აძურელთა ახალმა თავკაცმა რობერტო დონადონიმ საამმატჩებოდ 24 ფეხბურთელს უხმო...

მეკარეები: კრისტიან აბიატი (ტორინო), მარკო ამელია (ლივორნო), ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი);

მცველები: ანდრეა ბარძალი (პალერმო), ფაბიო კანავარო (რეალი, ესპანეთი), დარიო დაინელი (ფიორენტინა), ფაბიო გროსო (ინტერი), მასიმო ოდო (ლაციო), მანუელ პასკუალი (ფიორენტინა), კრისტიან ძაკარდო (პალერმო), ჯანლუკა ძამბროტა (ბარსელონა, ესპანეთი);

ნახევარმცველები: მასიმო ამბროზინი (მილანი), დანიელე დე როსი (რომა), ჯენარო გატუზო (მილანი), მარკო მარკიონი (იუვენტუსი), სიმონე პეროტა (რომა), ანდრეა პირლო (მილანი), ფრანკო სემიოლი (კიევი);

თავდამსხმელები: ემილიანო ბონაცოლი (სამპდორია), ანტონიო კასანო (რეალი, ესპანეთი), დავიდე დი მიკელე (პალერმო), ალბერტო ჯილარდინო (მილანი), ფილიპო ინძაგი (მილანი), ტომაზო როკი (ლაციო).



ინგლისი

I ლიგა
V ტური

ნორთჰემპტონი 1:3 ბრისტოლი

ესპანეთი

პრიმერადივიზიონი
I ტური

სევილია 4:0 ლევანტე

შოტლანდია

თასი. II ეტაპი

ალბიონი 5:2 ელგინი
ფორფარი 1:3 არბროთი
მორტონი 3:2 ძოუდენბითი
როსი 2:1დ.დ. (1:1) ალოა
სტ. ჯონსტონი 3:0 ძუინზ პარკი

ისლანდია

თასი. ნახევარფინალი

ტროტური — რეიკიავიკი
გვიან დამთავრდა

ავსტრია

I დივიზიონი
VI ტური

აუსტრია (ლ) 2:2 ადმირა
ჰარტბერგი 2:1 ლუშტენაუ
კერნტენი 3:1 კაპფენბერგი
ლინცერი 2:1 აუსტრია (მ)
ლეობენი 0:1 გრატკორნი
პარნდორფი 1:1 შვანენშტადტი

სლოვაკეთი

I ლიგა
VIII ტური

ნიტრა 2:0 ტვენჩინი
კოშიცე 0:2 ზილინა
სლოვანი 1:1 ბანსკა ბისტრიცა

ირლანდია

თასი
III ეტაპი

ატლონი 3:2დ.დ. (1:1) ჰარპსი
ბოჰემიანსი 0:2 შემროკი

SLOT POKER CLUB VEGA

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ბაბილო ჯაფარიძის ფოტო

საქართველოს ნაკრები ვარჯიშ-ვარჯიშ ივსებაა

საქართველოს ნაკრები საფრანგეთთან დიდი მატჩისთვის მოსამზადებლად გუშინ 15 საათზე ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ შეიკრიბა და საღამოს „მიხეილ მესხზე“ ივარჯიშა.

კლაუს ტოპმიოლერთან გამოძახებულთაგან თავიდან 14 ფეხბურთელი იყო, ვარჯიშის დაწყებისას კი მათ კიდევ ხუთნი შეუერთნენ — გიორგი დემეტრაძე, მიხეილ აშვეთია, დავით მუჯირი, ნუკრი რევიშვილი და გიორგი ქინქლაძე, ვინც ბოლოს შარშან თებერვალში, ლიტვასთან ამხანაგური მატჩისთვის იყო ეროვნულ გუნდში გამოძახებული. ეს ფეხბურთელები სტადიონს პირდაპირ აეროპორტიდან მოადგნენ და დემეტრაძის გარდა ყველამ ივარჯიშა.

გუშინ დაისვენა კიევის „არსენალის“ ფორვარდმა ლაშა ჯაკობიამ, რომელიც უკრაინის ჩემპიონატის ბოლო მატჩისას დაშავებულა. წუხელ კი ნაკრებს დანარჩენი ოთხი ფეხბურთელიც უნდა დამატებოდა — ოდესის „ჩერნომორეცის“ მცველები, ილია კანდელაკი და გიორგი შაშიაშვილი, ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ ნახევარმცველი დავით კვირკველია და იაროსლავლის „შინიკის“ ზურაბ მენთეშაშვილი.

შეკრების პირველი დღე იყო და კლაუს ტოპმიოლერს შეგირდები დიდად არც დაუტვირთავს, თანაც რამდენიმე ფეხბურთელს თავიანთ კლუბებში კვირა-ორშაბათსაც ნათამაშევი ჰქონდათ და ძალების აღსადგენად მწვრთნელებმა გუნდი აღარ დატვირთეს. როგორც ყოველთვის, ნაკრების ვარჯიშს გუშინაც რალფ მინგე უძღვებოდა და სხვებთან ერთად ბურთს ისიც აგორებდა.

ერთი და ისიც ნახევარვარჯიშის შემდეგ ძნელია, ფეხბურთელთა მზადყოფნაზე რამე თქვა, თუმცა კი ჩანდა, რომ მოედანზე მყოფთაგან მომზადების მხრივ დღესდღეობით პრობლემა არავის უნდა ჰქონდეს. კარგი იყო გიორგი ქინქლაძის ნახვაც, ვინც ჩვეული მწვავე და მახვილგონივრული პასების გარდა, გუშინდელი ვარჯიშისას რამდენჯერმე დასწრებაზე დროული თამაშითაც გამოირჩა.

ვნახოთ, ნაკრები დღესაც ივარჯიშებს, ხვალაც, ზეგაც და დანარჩენი უკვე კლაუს ტოპმიოლერმა იცის...

კოგა ინასარიძე

ბაბილო ჯაფარიძის ფოტოები

დავით მუჯირი სავარჯიშოდ პირდაპირ აეროპორტიდან მივიდა

ფეხმტკივანმა ლაშა ჯაკობიამ ვარჯიში ვერ შეძლო

ბაბილო ჯაფარიძის ფოტოები

გიორგი ლომაია და გრიგოლ ჭანტურია

კლაუს ტოპმიოლერმა ნაკრებში გიორგი ქინქლაძე დააბრუნა

მეკარეები

1.	გიორგი ლომაია (ლუჩ-ენერგია, რუსეთი)	08.08.79
29.	ნუკრი რევიშვილი (რუბინი, რუსეთი)	02.03.87
34.	გრიგოლ ჭანტურია (ზესტაფონი)	25.09.73

მცველები

5.	დავით კვირკველია (მ. ზაპოროჟიე, უკრაინა)	27.06.80
6.	კახა ალადაშვილი (დნიპრო, უკრაინა)	11.08.83
13.	ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, ინგლისი)	06.10.81
16.	მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი)	04.08.81
35.	ილია კანდელაკი (ჩერნომორეცი, უკრაინა)	26.12.81
36.	დავით იმედაშვილი (დინამო, უკრაინა)	15.12.84
37.	გიორგი შაშიაშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა)	01.09.79

ნახევარმცველები

10.	ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია)	10.07.77
14.	გოგიტა გოგუა (ნალჩიკი, რუსეთი)	04.10.83
18.	ზურაბ მენთეშაშვილი (შინიკი, რუსეთი)	30.01.80
20.	დავით მუჯირი (კრილია სოვეტოვი, რუსეთი)	02.01.78
22.	ჯაბა კანკავა (არსენალი, უკრაინა)	18.03.86
27.	გიორგი ქინქლაძე (რუბინი, რუსეთი)	06.07.73

თავდამსხმელები

9.	ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია)	23.10.77
11.	შოთა არველაძე (ალკმაარი, ჰოლანდია)	22.02.73
15.	ლაშა ჯაკობია (არსენალი, უკრაინა)	20.08.80
21.	ოთარ მარცვალაძე (დინამო, უკრაინა)	14.07.84
24.	ზურაბ იონანიძე (ზესტაფონი)	02.12.71
30.	გიორგი დემეტრაძე (მ. დონეცკი, უკრაინა)	26.09.76
31.	მიხეილ აშვეთია (რუბინი, რუსეთი)	10.11.77

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა | I წრე. 4 ტური

ბათუმი. 28 აგვისტო. 17 საათი. დინამო

ბათუმი 1:2 სიონი

1:0 ექონია (1), 1:1 ალავიძე (31), 1:2 შავგულიძე (75)

ბათუმი	სიონი
ბათუმი: სომხიშვილი, ექონია, აბშილავა, ქორიძე, გალოგრე, ჯაბნიძე (ფარტენაძე 62), ჯინჭარაძე (კუნჭულია 49), ცანავა, კოშკაძე, ა. მუჯირი, გოგოლაძე (ბაჯელიძე 65) სათადარიგონი: ბექთაშევი, ხარაზი, ბეჟანიძე, ოქრუაშვილი მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე	სიონი: ბათიაშვილი, ჭიჭვეიშვილი (კობაური 46), ფროდილინი, ლ. ჭელიძე (შავგულიძე 57), სიჭინავა, ლ. ბაჯელიძე, რაქვიაშვილი, ა. ალავიძე, ბ. ცხადაძე, ვ. უგრეხელიძე (კვიტაიშვილი 46), ევოჩე სათადარიგონი: ბობღიაშვილი, ქურასბედიანი, ზ. ჭელიძე დ. სვანიძე მწვრთნელი: გიორგი ყიფშიძე

გაფრთხილება: ქორიძე (74), ალავიძე (85)

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; კ. ტეფნაძე, გ. ცირდავა; დ. ხარიტონაშვილი

აფრიკელს ქართული ანდაზა სცოდნია
ფრიდოლინმა სიონის სახელის გატეხვას ჭელიძის თავის გატეხვა ამჯობინა

გიორგი მურვანიძე ბათუმიდან

მატჩი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და პირველივე წუთზე შედეგიანი კომბინაციით დასრულდა — მარჯვენა ფლანგიდან ზურაბ ექონიამ ბურთი ჯაბნიძეს მიაწოდა, რომელმაც მასვე ქუსლით დაუტოვა ბურთი და ექონიამ მცველს დაასწრო — 1:0.

ბოლნისელები ასეთ დასაწყისს არ ელოდნენ და გამოფხიზლებას კარგა ხანი მოანდომეს. ამასობაში ამირან მუჯირმა ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა ფორვარდი დავით გოგოლაძე, რომელმაც ძლიერად კი დაარტყა, მაგრამ ზურაბ ბათიაშვილმა ბურთი კუთხურზე მოიგერია.

ამის შემდეგ „სიონი“ გააქტიურდა. ვლადიმერ უგრეხელიძემ ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, იქ კი გასტონ ევორჩემ ყველას დაასწრო, თუმც გიორგი სომხიშვილს ველარ აჯობა — აფრიკელის თავური მეკარეს პირდაპირ ხელებში მიუვიდა.

კახა ცხადაძე დისკვალიფიკაციის გამო თავის შეგირდებს ტრიბუნიდან აძლევდა მითითებებს. მისმა შენიშვნებმა შედეგი გამოიღო და 31-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა. საჯარიმო დარტყმით არჩილ ალავიძემ უშანსოდ დატოვა სომხიშვილი — ბურთი შორეულ ცხრიანში ჩაეშვა.

მეორე ტაიმი შედარებით უნიათო და უხეში გამოდგა...

ბოლნისელთა შეტევისას აფრიკელმა ლეგიონერმა ბოიმო ფრიდოლინმა თანაგუნდელ ლაშა ჭელიძეს უნებლიეთ თავი გაუტეხა და ცხადაძემ იძულებითი ცვლილება განახორციელა — მოედანზე ლევან შავგულიძე შეუშვა. გოლიც მან გამოაცხო — ალავიძის ჩაწოდებულს შავგულიძემ თავით შეუცვალა მიმართულება, მეკარე ბურთს ვერ შესწვდა და „სიონი“ დაწინაურდა.

„ბათუმმა“ ბოლო წუთებზე შტურმი მოაწყო, მაგრამ ფორტუნა „სიონის“ მხარეს იყო. ძელსაც მოარტყეს მასპინძლებმა ბურთი, პრინციპში ... რაც დარჩნენ ბათიაშვილთან, მაგრამ...

ამერი	4	4	0	0	9:1	12
ოლიმპი	4	3	1	0	9:0	10
ვიტ ჯორჯია	4	3	1	0	9:4	10
ტორპედო	4	2	2	0	3:1	8
ზესტაფონი	4	2	1	1	5:3	7
დინამო	4	2	0	2	9:4	6
სიონი	4	2	0	2	6:5	6
მერანი	4	2	0	2	6:9	6
ბორჯომი	4	1	1	2	7:8	4
ლოკომოტივი	4	1	1	2	4:5	4
ჩიხურა	4	1	1	2	3:5	4
ბათუმი	4	0	1	3	2:5	1
დილა	4	0	1	3	2:13	1
კახეთი	4	0	0	4	3:14	0

ქართველები უცხოეთში
გოლები და ყვითლები ლურჯ-თეთრ-წითლებამდე

რამდენი დღე დარჩა 2 სექტემბრამდე? რა დროს დღეებია, უკვე საათებს ვითვლით საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მატჩამდე. ამ დროს კი ათი თვალი და ათი ყური ლეგიონერებისკენაა, რომლებიც უკვე თბილისში არიან და კლაუს ტოპმიოლერის ხელქვეით ვარჯიშობენ. თუმცა მანამდე მათ საკლუბო ამბებზე. ვთქვათ — როგორ მოიელიეს განვლილი უქმეები...

გამორჩეული იყო **დავით მუჯირის** გოლი ყაზანის „რუბინთან“. მართალია, სამარელებმა 1:2 წააგეს, მაგრამ „მუმუმ“ რომ ჩაწოდებული ბურთი ჰაერშივე ერთი შეხებით ცხრიანში ჩაჭედა 20 მეტრიდან, ყველაზე ლამაზი ეპიზოდი სწორედ ეგ იყო. მუჯირმა მაღლა ასწია ხელი და გატანილი გოლი ახლახან გარდაცვლილი დედის ხსოვნას მიუძღვნა.

რაც შეეხება „რუბინის“ ქართველებს, მათგან მხოლოდ **მიხეილ აშვეთიამ** ითამაშა ბოლო 16 წუთი.

ჰოლანდიაში კვლავ მოიგო „ალკმაარმა“ (3:1) და კვლავ არ გაუტანია **შოთა არველაძეს**, თუმცა ერთი საგოლე პასი მისი იყო. სამაგიეროდ, შოთა კაპიტნის სამკლავურით გახლდათ და არაა გამორიცხული, ამ სეზონში ასეც იყოს — საქმე ისაა, რომ ალკმაარელთა კაპიტანი ჟორის მატიისენი „ჰამბურგში“ აპირებს გადასვლას, არველაძე კი ვიცე-კაპიტანი გახლდათ და... ჰო, შოთამ გაფრთხილებაც მიიღო.

უცნაური ამბავია, აბა, რა, **გოგა გახოკიძის** „ტვენტემ“ ესტონურ „ლევადიასთან“ წააგო უეფას თასზე და სამ დღეში თვით მრისხანე პსვ წააქცია — 1:0. გოგა 68-ე წუთზე გამოჩნდა მინდორზე და მალევე გაფრთხილება მიიღო.

ზურაბ ხიზანიშვილმა კი სრულა ითამაშა შინ „ჩელსისთან“ 0:2 წაგებულ შეხვედრაში და უყვითელბარათოდ არც ის დარჩენილა.

ლევან კობიაშვილს კი ყვითელი ბარათი სულაც არ უნდა ანაღვლებდეს, რადგან მისმა „შალკემ“ მანამდე წაუქცეველ „ვერდერს“ 2:0 მოუგო და ვინძლო, ამით საჩემპიონო ამბიციები განიმტკიცა.

კვლავ არ უთამაშია **ოთარ ხიზანეიშვილს**, **ალექსანდრე იაშვილმა** კი 71 წუთი გაატარა მინდორზე. ქართველების „ფრაიბურგი“ შინ „უნტერჰახინგს“ ვერ მოერია (1:1) და ასე თუ გააგრძელა, ბუნდესლიგაში გადასვლაზე არც უნდა იოცნებოს.

აი, **მათე ღვინიანიძის** „მიუნხენ 1860“ კი მეორე ბუნდესლიგის მთავარფავორიტია. „ლომებმა“ ამჯერად ბურგჰაუზენში მოიგეს 2:0. ქართველმა მცველმა კი სრულად ითამაშა და ანგარიშიდანაც ჩანს, რომ იმედები არც ახლა გაუცრუებია.

დავით სირაძე 53-ე წუთზე ჩაერთო თამაშში — მისი აუე როსტოკში „ჰანზასთან“ 2:4 დამარცხდა.

უკრაინაში კი ზაპოროჟიეს „მეტალურგმა“ შინ 1:1 ითამაშა „კრივბასთან“ და გოლები ქართველებმა გაცვალეს პენალტებით — ჯერ **ვასილ გიგიაძემ** დააწინაურა სტუმრები და მალევე მატჩის საუკეთესო ფეხბურთელმა **დავით კვირკველიამ** გაათანაბრა. აქტიურები იყვნენ კრივბასელი **ლადო ბურდული** და ზაპოროჟიელი **ირაკლი მოდებაძეც**, რომელმაც ტრავმა უკვე მოირჩინა.

გაიტანა **ლაშა ჯაკობიამაც**, რომელმაც „დნიპროს“ დააკარგვინა ქულები — 1:1. ჯაკობიამაც და მეორე არსენალელმა **ჯაბა კანკავამაც** სრულად ითამაშეს, დნეპრისპირელი **კახა ალადაშვილი** კი 86-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე. და კიდევ, ჯაკობიამაც და კანკავამაც ყვითელი ბარათები იხილეს.

ოდესის „ჩერნომორეცმა“ კი „ზარიას“ 2:0 რომ მოუგო, **ილია კანდელაკმა** და **კახა მჟავანაძემ** 90-90, **გიორგი შაშიაშვილმა** კი ბოლო 11 წუთი ითამაშეს.

ძირითად შემადგენლობაში დაიბრუნა ადგილი „სტალის“ მცველმა **გიორგი ციმაკურიძემ**, მისმა გუნდმა კი „ტავრიასთან“ 0:1 დათმო.

რუსეთით დავიწყეთ და რუსეთითვე დავამთავროთ: **მალხაზ ასათიანმა** მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა შინ „ლუჩ-ენერგიასთან“ (3:0), **გოგიტა გოგუამ** კი 90 წუთი ჩვეულად იაქტიურა სტუმრად მოსკოვის „სპარტაკთან“, თუმცა ნალჩიკელებმა, როგორც ბოლო ტურებში დასჩემდათ, ბოლო წუთებზე გაუშვეს გოლი და 0:1 წააგეს.

ილია ნანობაშვილი

ზესტაფონის ფანობა მახარაძეს ითხოვს
ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი...

ჩავარდნისგან დაზღვეული გუნდი არ არსებობს, მაგრამ „ზესტაფონს“ ბოლო მატჩებში ძალიან აერია საქმე. ჯერ იყო „ოლიმპთან“ საშინაო ფრე, სადაც ფეროელები ძლივს გადაურჩნენ მარცხს. ამას მოჰყვა „ვიტ ჯორჯიასთან“ 0:3, რაც მართლაც ნამეტანი იყო.

თემურ მახარაძე

რეაქციამაც არ დაახანა: როგორც შევიტყვეთ, „ზესტაფონის“ ფან-კლუბის წევრები კლუბის ოფისში მისულან და დაჟინებით ითხოვენ მწვრთნელ მერაბ კოჭლაშვილის გადადგომას და მის ნაცვლად თემურ მახარაძის დანიშვნას. გულშემატკივრებმა გუშინვე „ზესტაფონის“ პრეზიდენტ ილია კოკაიას გაუგზავნეს წერილი, სადაც წერია, რომ ბოლო მატჩებში გუნდის შედეგები და თამაშის ხარისხი ძალიან გაუარესდა.

ჩვენ „ზესტაფონის“ პრეს-ატაშე სერგო ფუტკარაძეს დავუკავშირდით, რომელმაც ეს ინფორმაცია დაგვიდასტურა. ასე რომ, ვნახოთ, დააკმაყოფილებს თუ არა „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობა გულშემატკივართა მოთხოვნას...

შეგახსენებთ, კოჭლაშვილი გაზაფხულზე მივიდა „ზესტაფონში“, თავიდან მთავარ მწვრთნელ კობა ჟორჟიკაშვილის თანაშემწე გახლდათ, სეზონის ბოლოს კი თავად ჩაიბარა გუნდი. თემურ მახარაძე კი, მოგეხსენებათ, ახალი კაცი არაა ფეროელებში — ყველაზე კარგი შედეგები იმერლებს სწორედ მისი თავკაცობისას ჰქონდათ.

და კიდევ: ათი დღის წინ „ზესტაფონში“ ჩასულ პარაგვაელ ფეხბურთელებს სამშობლოში დაბრუნება მოუხდათ. 22 წლის მარტინესს, 20 წლის ფიგერედოსა და 18 წლის ტორესს თითქმის უკვე ფეროელებად თვლიდნენ, თუმცა შეთანხმება ვერ მოხერხდა...

ილია ნანობაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
I წრე. 3 ტური

ზესტაფონი 2 0:0 დინამო 2
რაჭა 1:3 მადაროელი
ამერი 2 3:3 სამტრედია
ჩიხურა 2 2:0 მეშახტე
მგლები 1:0 მეშაქრე
ვიტ ჯორჯია 2 6:0 გურია
სპარტაკი 2:1 ოლიმპი
ნ. დინამოელი 3:2 გაგრა
მესხეთი 6:1 მერცხალი

მესხეთი	3	2	1	0	8:2	7
მგლები	3	2	1	0	2:0	7
ვიტ ჯორჯია 2	3	2	0	1	7:1	6
სპარტაკი	3	2	0	1	6:3	6
ნ. დინამოელი	3	2	0	1	5:4	6
მეშაქრე	3	2	0	1	3:2	6
სამტრედია	3	1	2	0	8:5	5
დინამო 2	3	1	2	0	2:1	5
მადაროელი	3	1	1	1	6:5	4
ჩიხურა 2	3	1	1	1	3:2	4
ამერი 2	3	0	3	0	4:4	3
ზესტაფონი 2	3	0	3	0	4:4	3
მერცხალი	3	1	0	2	3:7	3
ოლიმპი	3	0	2	1	2:3	2
მეშახტე	3	0	2	1	4:6	2
რაჭა	3	0	1	2	4:9	1
გურია	3	0	1	2	0:6	1
გაგრა	3	0	0	3	2:6	0

ასი: ბეჭმის კონტრაქტი სექტემბერში დაიწურება

დევიდ ბექემის „რეალთან“ კონტრაქტის გახანგრძლივების ამბავი კვლავაც გაურკვეველია, თუმცა მადრიდელთათვის აქ საგანგაშო არაფერია. საქმე ისე მიდის, რომ ალბიონელი ვარსკვლავი „სანტიაგო ბერნაბეუს“ გრანდთან თანამშრომლობას მაინც გაახანგრძლივებს. ოღონდ, სავარაუდოდ, ეს სექტემბერში მოხდება და არა 29 აგვისტოს, როგორც ზოგიერთი ესპანური გაზეთი აცხადებდა.

გუშინდელი პირნეული მედია დევიდთან და მის ახალ კონტრაქტთან დაკავშირებით ერთსულოვანი არ გახლდათ. გაზეთებში იბეჭდებოდა ცნობები იმის შესახებ, რომ თითქოს „რეალის“ პრეზიდენტმა კალდერონმა ინგლისელთან ახალი შეთანხმება უკვე გაახერხა. ბექემი „რეალში“ 2009 წლამდე დარჩება. მან კლუბთან კონტრაქტი 2 წლით განაახლა“ — უთქვამს სენიორ კალდერონს, თუმცა...

თავად ფეხბურთელის წარმომადგენლები „რეალთან“ ახალი შეთანხმების მიღწევას უარყოფენ. „დაინტერესება ორმხრივია, „რეალში“ ბექემის თამაში მოსწონთ და დევიდიც „ბერნაბეუზე“ თავს ძველებურად კარგად გრძნობს, თუმცა ახალი კონტრაქტი არ შეგვიდგენია. ამ საკითხზე სექტემბერში ვიზრუნებთ“ — განაცხადა ბექემის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მადრიდულ „ასთან“ საუბარში. „ასი“ კი „რეალის“ ფლაგმანი გაზეთია და სამეფო თეთრებთან დაკავშირებულ ყოველ წვრილმანს სიფრთხილით ეკიდება (მით უმეტეს, ისეთ დიდ მოვლენას, როგორიც ბექემის „რეალთან“ კონტრაქტის განახლებაა). ასე რომ, ალბათ ჯობს, არ ვიჩქაროთ და დანარჩენ მედიაზე უფრო „ასის“ ინფორმაციას ვენდოთ.

ბექემი „სანტიაგო ბერნაბეუს“ კლუბში 2003 წლის ზაფხულში „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ მივიდა. ძველი, ანუ დღეს მოქმედი შეთანხმებით, დევიდს ფაბიო კაპელოს გუნდში დარჩენა 2007 წლის ივნისამდე უწევს.

ლადო ხომერიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრეზეგე: მამა, წამიყვანე B-დან!

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ „იუვენტუსს“ დავიდ ტრეზეგეში 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა. მოგეხსენებათ, კალჩოპოლის სკანდალის გამო „იუვენტუსს“ ახალი სეზონის სერია B-ში გატარება აქვს მისჯილი, რაც საუკეთესო ფეხბურთელებს გულზე არანაირად არ ეხატებათ, რითაც ევროპის სხვა დიდი კლუბები სარგებლობენ.

როგორც გაზეთი „სანი“ იტყობინება, ტრეზეგეს მამა, რომელიც მამობასთან ერთად შვილის აგენტის ფუნქციასაც ასრულებს, ორშაბათს შეხვდა „მანჩესტერ იუნაიტედის“ წარმომადგენლებს და ვაჟის პრემიერლიგაში შესაძლო გადასვლაზე ესაუბრა. აქ, მნიშვნელოვანია, რომ სატრანსფერო ფანჯარა ევროპაში ხვალ იხურება.

აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებების არსებობა, მართალია, საგაროდ არა, მაგრამ კერძო პირთან საუბარში „შავ-თეთრების“ პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმაც დაადასტურა. ამბობენ, რომ გარიგება 10 მილიონი გირვანქა ელირება, თუმცა „იუვენტუსი“ 17 მილიონს ითხოვდა.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი ამასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ მას ტრეზეგე „რეალში“ გაყიდული რუუდ ვან ნისტელროის სანაცვლოდ კი არ სჭირდება, არამედ ფრანგი ფეხბურთელის ოდინდელი თაყვანისმცემელია.

გასულ სეზონში ტრეზეგემ სერია A-ს 32 შეხვედრაში 23 გოლი გაიტანა.

პაპუნა კედია

იუვეს ფედერაციაში ქულები ეგულება

ჯოვანი კობოლი ჯილი

„იუვენტუსმა“ დაადასტურა, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს და ამ მოლაპარაკებების შედეგი შესაძლოა, ასეთი გამოვიდეს: ტურინელთა სერია B-ში დარჩენა, ოღოდ მინუს ქულების გარეშე.

ფედერაციასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს „მილანიც“, რომელიც მართალია უმაღლესი იტალიური ლიგიდან არავის არსად გაუგდია, მაგრამ მინუს 8 ქულა კი აქვს მისჯილი.

„ბებერი ქალბატონის“ პრეზიდენტი ჯოვანი კობოლი ჯილი: „ჩვენ ფეხბურთის ფედერაციასთან უკვე ვისაუბრებთ და მზად ვართ მაგიდას ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებთანაც მივუსხდეთ“.

მოგეხსენებათ, კალჩოპოლის სკანდალში მონაწილეობის გამო „იუვენტუსი“ სპორტულმა ტრიბუნალმა სერია B-ში გააძევა და ახალი სეზონის მინუს 17 ქულით დაწყება მიუსაჯა, რაც კლუბმა ჯერ ფედერაციის საუპელაციო ინსტანციაში, ხოლო შემდეგ ოლიმპიურ კომიტეტში გააპროტესტა, მაგრამ შეწყალებაზე ორივეგან უარი მიიღო და სამოქალაქო სასამართლოში ჩივილი განიზრახა. „იუვენტუსის“ აღშფოთება უპირატესად იმითაა განპირობებული, რომ მისგან განსხვავებით, კალჩოპოლის სკანდალის მონაწილე სხვა კლუბები ტრიბუნალს სერია B-ში არ გაუგდია, რაც იმას ნიშნავს, რომ „შავთეთრები“ გამორჩევით დაისაჯნენ. შეგახსენებთ იმასაც, რომ ფიფას წეს-კანონით ფეხბურთის კლუბს სამოქალაქო სასამართლოში ჩივილი არ შეუძლია, რადგან ამით საფეხბურთო სამყაროს ავტონომიურობა ირღვევა და ამიტომ, „იუვეს“ სამოქალაქო სასამართლოში მისვლის შემთხვევაში, მსოფლიო ფეხბურთის ბოსები სრულიად იტალიელებს ყველა სახის საერთაშორისო შეჯიბრებიდან მოხსნით დაემუქრნენ.

რაც შეეხება „მილანს“, მისი ვექილის, ლეანდრო კანტამესას განცხადებით, კლუბი ყველა ღონეს იხმარს, რათა მინუს ქულები შეუმცირონ, მაგრამ თუ არ გამოუვიდა, ბედს შეეგუება და პროტესტის მორიგ ფორმებს აღარ დაუწყებს ძებნას.

პაპუნა კედია

ოუენ ჰარგრივსი

მარკ ვან ბომელი

ბაიერნის ჩვიდმეტიანი ჰარგრივსი ფიფქებს ელის

მიუნხენის „ბაიერნმა“ ოფიციალურად გააფორმა სამწლიანი კონტრაქტი მარკ ვან ბომელთან. გავრცელებული ცნობით, 29 წლის ჰოლანდიელში „ბარსელონამ“ 6 მილიონი ევრო მიიღო. გამოცდილი ნახევარმცველი „ალიანს არენაზე“ ჩვიდმეტნომრიანი მაისურით ითამაშებს. ვან ბომელს საკმაოდ მძიმე მისია ეკისრება, იგი ბოლო წლებში „ბაიერნის“ უდავო ლიდერის და ამ ზაფხულს „ჩელსიში“ გადასული მიხაელ ბალაკის შემცვლელად მოიაზრება.

„ჩვენი პრიორიტეტი ბუნდესლიგისა და ქვეყნის თასის მოგება იქნება. ევროპაში კი, რაც შეგვეძლება, ყველაფერს გავაკეთებთ. „ბაიერნი“ სტაბილური გუნდია, ყოველთვის ძლიერია და ფავორიტად ითვლება. ამიტომ განწყობა საბრძოლოა“ — თქვა ვან ბომელმა.

ამბობდნენ, „ალიანს არენაზე“ მისი გადაბარგება საბოლოოდ გაუხსნის „ოლდ ტრეფორდისკენ“ გზას ოუენ ჰარგრივსსო, მაგრამ 25 წლის ნახევარმცველის აგენტ რომან გრილის თქმით, ასე არ არის. როგორც იცით, კანადაში დაბადებულ ინგლისელს ძალიან სურს „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაში და „წითელი ეშმაკებიც“ მზად იყვნენ, სოლიდური თანხა გადაეხადათ. თუმცა „ბაიერნს“ ჰარგრივსის გაშვება არ სურს.

რომან გრილი: „ამ ტრანსფერის ახლა განხორციელების შანსი არ არის, ამ აზრს უნდა შევეგუოთ. ყველაფერი გავაკეთე, რათა ოუენის სურვილი შემესრულებინა და იგი „მანჩესტერში“ გადასულიყო, მაგრამ... თუ ინგლისელთა ინტერესი არ განელდება, შესაძლოა, ეს საქმე იანვარში მოგვარდეს“.

გიორგი კაკაბაძე

ესპანეთი

პრიმერადივიზიონი. I ტური

სელტა 2:3 ბარსელონა

1:0 ბაიანო (41), 1:1 ეტოო (55), 1:2 მესი (59), 2:2 გ. ლოპესი (64), 2:3 გუდიონსენი (87)

სელტა: პინტუ, გ. ლუკასი, ლეკუ, ანჯელი, კონტრერასი, ირინეი, ობინია, გ. ლოპესი (ასპასი 83), კანობიო (ლარენა 70), ნენე, ბაიანო (პერერა 70)

მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი

ბარსელონა: ვალდესი, მარკესი, ძამბროტა, პუიოლი, ვან ბრონჭორსტი, მოტა (ედმილსონი 55), ინიესტა, დეკო, მესი, ჟიული (გუდიონსენი 74), ეტოო

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: ირინეი, მოტა, ინიესტა

გაძევება: ირინეი (86)

მსაჯი: პერეს ლასა

25 000 მაყურებელი

გუდიონსენი არ არის ლარსონი

„ბარსელონას“ გაუჭირდა, მაგრამ მაინც იმარჯვა. პრიმერადივიზიონის ჩემპიონი წლევანდელ სეზონსაც მოგებით იწყებს — „სელტამ“ შინაურ „ბალაიდოსზე“ შეუპოვრად იბრძოლა, თუმცა ტრავმირებული რონალდინიოს გარეშე მოთამაშე კატალონიურ გრანდს მაინც ვერაფერი მოუხერხა. პირველი ტაიმი გალისიელებმა მოიგეს, შესვენების შემდეგ კი „ბარსამ“ იძალა და ახალწვეული გუდიონსენის გვიანი გოლით ვიგოდან სამი ქულა წაიღო.

კატალონიელთა მწვრთნელმა რაიკარდმა შემადგენლობაში ცვლილებები შეიტანა. „სევილიასთან“ ევროპის სუპერთასზე დამარცხებულ გუნდში ბელეტის და სილვინიოს ნაცვლად ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმა და ჯანლუკა ძამბროტამ ითამაშეს. „სევილიასთანვე“ დამტვრეული რონალდინიოს მაგივრად ვიგოში მოედანზე ლუდოვიკ ჟიული გავიდა, ხოლო მოედნის ცენტრში ხავის ადგილი ანდრეს ინიესტას ჩააბარეს. ამ ცვლილებათა მიუხედავად, „ბალაიდოსის“ ჯახი თავიდან სუპერთასის მატჩს წააგავდა, შეხვედრის დასაწყისში „ბარსელონა“ ძალიან ზანტი იყო.

შესვენებამდე სტუმრებმა მეტოქის კარში სახიფათოდ მხოლოდ ერთხელ დაარტყეს. პინტუს მიმართულებით დეკუმ გაისროლა, მაგრამ „სელტას“ მეკარემ იმარჯვა. გასაგიჟებლად არც ვიგოელებს უთამაშიათ, თუმცა ფლანგებზე მათი იერიშები ბარსელონელთა უნდილ შეტევებზე უფრო მწვავე იყო. 41-ე წუთზე ნენემ ვალდესის საჯარიმოში პუიოლს აჯობა და კარში დაარტყა. ბურთი ვიქტორ ვალდესმა მოიგერია, თუმცა იქვე ჩასაფრებულმა ფერნანდო ბაიანომ თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა — 1:0.

ტაიმთშორისის შემდეგ მოედანზე დაბრუნებული „ბარსა“ შესამჩნევად შეიცვალა. კატალონიელები მოწინააღმდეგეზე უკეთ ამოქმედდნენ. მათი შეტევები სულ უფრო და უფრო სახიფათო ხდებოდა.

რაიკარდის ბიჭებმა „სელტას“ ანგარიშში მალე გაუსწრეს. ჯერ მესისთან ლაზათიანად გათამაშებული კედლის შემდეგ ეტოომ საპასუხო გოლი შეაგდო (თუმცა ჟიული იმ დროს თამაშგარეში იყო და ვიგოურმა გაზეთებმა მეორე დღეს დაიჩივლეს, არბიტრმა პერეს ლასამ დაგვჩაგრაო), შემდეგ კი, 59-ე წუთზე, ინიესტას პასით თავად არგენტინელმა ლეო მესიმ გაიტანა.

წესით, დაბნეულ „სელტას“ კიდევ უნდა გაეშვა, თუმცა პირიქით კი მოხდა — გუსტავო ლოპესმა ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი დაჯაბნა და ტაბლოზე 2:2 აანთო. „ბარსელონას“ კი ორ თამაშში უკვე მეხუთედ გაუტანეს („სევილიასთან“ მატჩი რაიკარდის გუნდმა 0:3 წაგო), რაც კლუბისთვის, რომელმაც წინა პრიმერაში [illegible] ნაკლები გოლი მ[illegible], შედეგი არ არის.

შეხვედრის მიწურულს პერეს ლასამ ვიგოელი ირინეი უხეშობის გამო გააძევა. ასევე ბოლოსკენ გავიდა გუდიონსენის გოლიც — ისლანდიელმა ლამაზი დარტყმით „ბარსელონას“ გამარჯვება მოუტანა. კატალონიურმა მედიამაც მეორე დღეს დაწერა: „ახალი ლარსონი“. „გუდის“ ეს ვინძლო არ მოეწონოს, რადგანაც „კამპ ნოუზე“ გადასვლის დღიდანვე ამბობდა, ჰენრიკ ლარსონს ნუ შემადარებთ, მე ჩემი, განსხვავებული სტილი მაქვსო...

„ბალაიდოსის“ ტრიბუნაზე კი დიდის ამბით იჯდა... იოჰან ბოსკამპი. ჰოლანდიელს ჩვენში წარდგენა არ სჭირდება. გეტყვით მხოლოდ, რომ ბოსკამპი ახლა უეფას თასზე „სელტას“ მეტოქე ლიეჟის „სტანდარდს“ წვრთნის და ვიგოში დასაზვერად იყო ჩასული.

ლადო ხომერიკი

ლადო ხომერიკი

ხეტაფე	1	1	0	0	2:0	3
ბარსელონა	1	1	0	0	3:2	3
დეპორტივო	1	1	0	0	3:2	3
ვალენსია	1	1	0	0	2:1	3
ატლეტიკო	1	1	0	0	1:0	3
ხიმნასტიკი	1	1	0	0	1:0	3
სოსიედადი	1	0	1	0	1:1	1
უელვა	1	0	1	0	1:1	1
ბილბაო	1	0	1	0	1:1	1
მალიორკა	1	0	1	0	1:1	1
ვილიარეალი	1	0	1	0	0:0	1
რეალი	1	0	1	0	0:0	1
სარაგოსა	1	0	0	1	2:3	0
სელტა	1	0	0	1	2:3	0
ბეტისი	1	0	0	1	1:2	0
ესპანიოლი	1	0	0	1	0:1	0
რასინგი	1	0	0	1	0:1	0
ოსასუნა	1	0	0	1	0:2	0

რო-ზე იწყება და რონალდო არაა

„მილანი“ რონალდოს შეეშვა და ახლა რობინიოს ყიდვას აპირებს. მადრიდული „ასის“ ცნობით, „როსონერის“ თავკაცებმა ბრაზილიელის ხელში ჩასაგდებად „რეალს“ 25 მილიონი ევრო შესთავაზეს, თუმცა ესპანური გრანდი რობინიოს ვერ ელევა. იქაურთა განცხადებით, 23 წლის ფეხბურთელი ტრანსფერგარეშეა.

იტალიური კლუბის წარმომადგენლებმა რობინიოს ყიდვა რამდენიმე დღის წინ, მადრიდში ვიზიტის დრო, სცადეს. მაშინ, „მილანის“ თავკაცები გალიანი და ბრაიდა ესპანეთის სატახტოში რონალდოს შესაძენად ჩავიდნენ, თუმცა, როგორც ირკვევა, დროს უქმად არ კარგავდნენ და ორ ფრონტზე ერთდროულად იბრძოდნენ. ხსენებული 25 მილიონი კი თითქმის იმდენივეა, რაც „რეალმა“ თავის დროზე რობინიოში „სანტოსს“ გადაუხადა. მაშინ ესპანელებმა ბრაზილიელებს 27 მილიონი ევრო ჩაუთვალეს.

„სანტიაგო ბერნაბეუს“ ოკეანისგაღმელი ფორვარდი ამჟამად, ძირითადში მოხვედრასთან დაკავშირებით პრობლემებს წააწყდა. ფაბიო კაპელო რობინიოზე მეტად რაულს და ანტონიო კასანოს ენდობა. და ეს მაშინ, როცა ბრაზილიელმა სეზონთშორისში რამდენიმე შესანიშნავი მატჩი ჩაატარა. „მილანიც“ თავისი მიზნების განსახორციელებლად ამით ისარგებლებსო — ეწერა გუშინდელ „ასში“.

რობინიოს აგენტს იტალიურ გუნდთან კარგი ურთიერთობა აკავშირებს. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე ბრაზილიელი კაკა „მილანში“ სწორედ რობინიოს დღევანდელმა წარმომადგენელმა სეუ ვაგნერ რიბეირუმ გააგზავნა. სხვათა შორის, რიბეირუმ თავიდან კაკა „რეალს“ შესთავაზა, თუმცა სამეფო გუნდის ძველმა პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ფორვარდის ყიდვაზე უარი თქვა. ბრაზილიელიც 8 მილიონ ევროდ მილანელებმა შეიძინეს.

დღევანდელი კონტრაქტით, რობინიოს „რეალთან“ თანამშრომლობა 2010 წლამდე უწევს. „სანტოსს“ ადრე მისი გასხვისება „ბარსელონაში“ ან „ჩელსიში“ სურდა, თუმცა ფეხბურთელმა დაიჟინა, მადრიდში მინდაო და ბრაზილიური სუპერკლუბიც იძულებული გახდა, მოთამაშის სურვილი გაეთვალისწინებინა.

ლადო ხომერიკი

ტომას გრავესენი

რეალიდან წასული ბედის მაძიებლები

მადრიდის „რეალიდან“ სამშობლოში გაქცეული დანიელი ტომას გრავესენი ახლა უკვე შოტლანდიას ეწვია გლაზგოს „სელტიკთან“ მოსალაპარაკებლად. ნახევარმცველის ყიდვა „ნიუკასლს“ და „მიდლბროსაც“ სურდათ, მაგრამ გრავესენმა სქოთურ პრემიერლიგაში თამაში მოიწადინა.

შეგახსენებთ, რომ დანიელი ფეხბურთელი გასულ პარასკევს „გაქრა“ მადრიდიდან. ფაბიო კაპელომ მოიკითხა ვარჯიშზე, ის კი უკვე სამშობლოში იყო. გრავესენს რობინიოსთან ჩხუბის შემდეგ „რეალში“ აღარ დაედგომებოდა, თან კაპელოს სქემაშიც არ გამოიძებნა მისი ადგილი.

მეტსახელად „კაციჭამიას“, გუშინ სამედიცინო შემოწმება უნდა გაევლო გლაზგოში და ჯამაგირზე მოლაპარაკებოდა „სელტიკის“ ბოსებს.

„ის უმაღლესი კლასის ფეხბურთელია, რომელსაც მივესალმებით „სელტიკში“ — განაცხადა კლუბის ერთ-ერთმა მწვრთნელმა ტომი ბარნსმა — დიდი გამოცდილება აქვს მიღებული ინგლისის პრემიერლიგაში და მართალია, „რეალის“ ძირითად შემადგენლობაში მუდმივად არ თამაშობდა, ეს ჩვენთვის პრობლემა არაა.“

ხოლო მეორე რეალელი, ჯონათან ვუდგეიტი, რომელიც მადრიდულ კლუბში გადასვლის შემდეგ მხოლოდ ტრავმების მკურნალობით იყო დაკავებული, ინგლისშია და „მიდლსბროს“ და „ნიუკასლს“ ელაპარაკება. მიდლსბროში დაბადებულ ვუდგეიტს სწორედ ამ კლუბში უნდა თამაში. „რეალმა“ იგი ერთი წლით გაათავისუფლა და ბოროელებსაც შეუძლიათ, იქ-რავონ ფეხბურთელი.

გიორგი დარჯანია

პატარა ჯადოქარი სიტყვის კაცი შვილი მამის ნაკვალევზე

სიტყვის თქმა და ასრულება ხშირად ძნელია, მაგრამ სანაქებო საქმეა. მით უფრო ძნელია, როდესაც პირობას დებ, რომ „ამას და ამას“ მრავალი წლის მერე, უფრო ზუსტად კი ოდესმე აასრულებ, მაგრამ ასეთი პირობის ასრულება ორმაგად ღირსეული საქციელიც არის. ამიტომაც, ქება და დიდება ხუან სებასტიან ვერონს, რომელმაც 1995 წელს დიდ არგენტინულ კლუბში, „ბოკა ხუნიორსში“ გადასვლის წინ „ესტუდიანტეს დე ლა პლატას“ ქომაგებს აღუთქვა, რომ აუცილებლად დაბრუნდებოდა და დაბრუნდა კიდეც. თუმცა, „ესტუდიანტესის“ ლეგენდარული ნახევარმცველის, ხუან რამონ ვერონის ვაჟი სხვანაირად ვერც მოიქცეოდა — „ლა ბრუხიტა“ დაბრუნდა იქ, სადაც „ლა ბრუხამ“ ისტორია შექმნა, სხვა სიტყვებით კი, პატარა ჯადოქარი დიდი ჯადოქრის სამფლობელოს ანუ შვილი მამის ნაკვალევს დაუბრუნდა.

როდესაც „ლა ბრუხიტა“ „ბოკაში“ გადავიდა, ბევრმა თქვა, რომ ის იქ დიდხანს ვერ გაჩერდებოდა და მართალიც გამოდგა, სულ რაღაც ერთ წელიწადში ხუან სებასტიან ვერონმა იტალიაში ამოყო თავი — „სამპდორია“, „პარმა“ და „ლაციო“ — სიდანაც 2001 წელს ინგლისში, კერძოდ, „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავიდა. „იუნაიტედის“ შემდეგ ვერონმა „ჩელსიში“ მოსინჯა ძალა, 2004-ში კი იტალიას, კერძოდ, „ინტერს“ დაუბრუნდა. „ინტერში“ 31 წლის მცველმა შესანიშნავად ითამაშა, მაგრამ ამ ზაფხულს მაინც „ბებერ კონტინენტთან“ გამომშვიდობება ამჯობინა, და როგორც თავში მოგახსენეთ, თერთმეტი წლის წინ დათქმული პირობა აასრულა. მას „ბოკა ხუნიორსი“ და „რივერ პლეიტი“ ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ვერონმა „ესტუდიანტესზე“ შეაჩერა არჩევანი. ეს ინტერვიუ კი ვერონს **fifa.com**-მა ჩამოართვა

— რატომ გადაწყვიტეთ არგენტინაში დაბრუნება?

— მთავარი მიზეზი ოჯახი გახლდათ. ჩემი ოჯახის წევრებს სურდათ სამშობლოში დაბრუნება. იცით, როდესაც ცხოვრებაში რაღაც ეტაპს ამთავრებ და საქმეებიც კარგად მიგდის, შინ, მშობლიურ ქალაქსა და გარემოში დაბრუნებაზე უკეთესი არაფერია.გარდა ამისა, კიდევ იყო მიზეზები. მაგალითად, ვიცოდი, რომ ვალდებული ვიყავი, ადრე თუ გვიან, „ესტუდიანტესში“ დავბრუნებულიყავი და ახლა, როდესაც დავბრუნდი, დიდი ამბების მოლოდინიც მაქვს.

— თქვენ ხომ „ბოკა ხუნიორსი“ და „რივერ პლეიტი“ გიწვევდნენ თავისთან?

— ასეთ დიად კლუბებში გადასვლის შანსი ყოველთვის მაცდურია, მაგრამ საბოლოოდ, მაინც ასე ვამჯობინე, რადგან დიდი ფეხბურთი ევროპაში უკვე ვითამაშე. თან, დიად კლუბებში თამაში ფეხბურთელისგან მსხვერპლს ითხოვს, მე კი უკვე მშვიდი გარემოს მოთხოვნილება გამიჩნდა. „ესტუდიანტესში“ თავს შინ ვგრძნობ და პასუხისმგებლობაც სხვაა, ასე რომ, ვფიქრობ, რასაც ვეძებ, სწორედ აქ ვიპოვი.

— „ესტუდიანტესის“ ქომაგებთან შეხვედრამ რა გრძნობები აღგიძრათ?

— დებიუტის წინა ღამეს ცუდად მეძინა, მაგრამ როგორც კი მოედანზე გავედი და ხალხს შევხვდი, მივხვდი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე.

— იტალიისა და ინგლისის საუკეთესო კლუბებში გითამაშიათ. კიდევ სად ისურვებდით ბურთის გაგორებას?

— ესპანეთში. განსაკუთრებით, „რეალში“ ან „ბარსელონაში“. ამ გუნდებზე სულ იყო საუბარი, მაგრამ საბოლოოდ არაფერი გამოდიოდა, თუმცა ნუ იფიქრებთ, რომ ახლა ჩემი აუხდენელი ოცნება გაგანდეთ. კარიერაში იმდენისთვის მიმიღწევია, რომ საოცნებო ნამდვილად აღარაფერი დამრჩა.

— ყველაზე კომფორტულად თავს რომელ ლიგაში გრძნობდით?

— იტალიაში, რადგან იქ დავვაჟკაცდი. „ბოკადან“ რომ გადავედი, დასრულებული პროდუქტი ნამდვილად არ ვიყავი — სწორედ იტალიამ გამომთალა და ყველა გაგებით, ფინანსურად თუ პროფესიულად, ფეხზე დამაყენა. ისე, თავისი შარმი ინგლისსაც აქვს. იქ სრულიად უნიკალურ ფეხბურთს თამაშობენ, ტაქტიკის გარეშე. ნამდვილი ქუჩის ფეხბურთია, ყველა წინ მირბის.

— და ეს ორი ლიგა არგენტინულს რით შეედრება?

— მთავარი განსხვავება ფეხბურთელებია. თვრამეტი წლის წინ, როდესაც არგენტინიდან ევროპაში წავედი, ყოველ იქაურ გუნდს სულ მცირე ხუთი ან ექვსი გამოცდილი ფეხბურთელი ჰყავდა, დღეს კი ერთსაც ვერ ნახავთ. ახლა არგენტინულ გუნდებში მხოლოდ ჭაბუკები თამაშობენ. არსი იგივეა, თუმცა მაშინდელთან შედარებით, მაინც უფრო სწორხაზოვანი ფეხბურთია. აქაური კლუბებისთვის მნიშვნელოვანი გახდა ფეხბურთელების გაყიდვა, ყიდვაზე კი არავინ ფიქრობს, შედეგად, აქ აღარავინ იზრდება და ვითარდება. ჩაატარებენ ყველაზე ნიჭიერები ათ-ოც თამაშს და მიდიან.

— აქ, ალბათ, თანამედროვე სატრანსფერო ბაზარიც თამაშობს თავის როლს.

— ყველაფერი ადამიანის მოთხოვნილებამდე დადის. თუ ბავშვის შემოსავალი ათასი პესოა და უცბად, ჩნდება ბევრჯერ მეტის საშუალება, თან ევროპაში, როგორ გინდა მას წასვლა აუკრძალო? ფეხბურთი, გარდა იმისა, რომ სპორტია, შემოსავლის წყაროც არის და ამიტომ გარკვეულწილად ადამიანს მერკანტილურობაც გიწევს. ის კი სამწუხაროა, რომ ეს ყმაწვილები უცხოეთში საბოლოო ჩამოყალიბებამდე მიდიან და მათი წასვლა არგენტინის ჩემპიონატსაც დაღს ასვამს.

— მოდი, საუბრის თემა გამოვცვალოთ. როგორ ფიქრობთ, არგენტინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალს ვერ უნდა გასცდენოდა?

— მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ ითამაშა ნაკრებმა ისე, როგორც ვარაუდობდა, რამდენიმეა. მათგან მთავარი ის არის, რომ რომანს (ხუან რომან რიკელმეს) მხარში არ ამოუდგნენ. მასზე ამდენს ლაპარაკობენ, მაგრამ, როდესაც საქმე საქმეზე მიდგება, რასაც მისგან ითხოვენ, არ გამოდის. განა მის გვერდით შეტევათა გასაოცარებლად დამატებითი ფეხბურთელი არ უნდა ყოფილიყო?

— მაგალითად, ვინ?

— მაგალითად, მე ამ ჩემპიონატზე გაცილებით მეტხანს ვისურვებდი ლიონელ მესის, პაბლო აიმარის ან კარლოს ტევესის ნახვას, ამ სამ ფეხბურთელს რიკელმესთვის მხრის ასაბმელად ჩინებული მონაცემები აქვთ. ისინი მოედნის ბოლო მესამედზე სწრაფ გარღვევებსა და დრიბლინგებს მოაწყობდნენ, სხვა დანარჩენი კი რომანს თავად შეუძლია. აი, სწორედ, ამას ვგულისხმობდი, როდესაც ვამბობდი, რომ რიკელმეს მხარში არ ამოუდგნენ, თუმცა არის ზოგადი პრობლემებიც. მაგალითად, დროა, ბურთით ზედმეტ თამაშს თავი დავანებოთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომანი და აიმარი ნაკრებიდან გავაგდოთ, უბრალოდ, უნდა დავწყნარდეთ და რაღაც-რაღაცები მეტად გავიაზროთ. ჩვენ უნდა გამოვიდეთ იქიდან, როგორი ფეხბურთელებიც გვყავს და ყველას მარადონობა არ უნდა მოვთხოვოთ. მე თუ მკითხავთ, მარადონას მემკვიდრეობა ძალიან გვამძიმებს. გამორიცხულია იმის გამეორება, რაც დიეგომ გააკეთა... ჩვენ მისნაირად ვერ ვითამაშებთ, მსოფლიოში ნიჭიერი ფეხბურთელების წარმოებით არგენტინას სულ ერთიორი ქვეყანა თუ შეედრება, მაგრამ როდესაც მათ შორის კიდევ უფრო გამორჩეული აღარ გვყავს, უნდა მივხვდეთ, რომ მიდგომაა შესაცვლელი. ჩვენ ვუყურებთ ნიჭიერ მოთამაშეებს და ვიწუნებთ, იმიტომ, რომ მარადონას ვადარებთ.

— გისმენთ და უნებლიეთ იქმნება შთაბეჭდილება, რომ მომავალ მწვრთნელს ვესაუბრებით.

— არა. მწვრთნელის ცხოვრება ფეხბურთელისას არ ჰგავს და თან პასუხისმგებლობაა მეტი. ასეთი ყოფა არ მინდა. ჩემს გამოცდილებას დირექტორის რანგში უფრო გამოვიყენებდი. ვიხსენებ და ვერ გამიხსენებია, ბევრია ისეთი დირექტორი, პროფესიულ დონეზე რომ უთამაშია ფეხბურთი? ყოფილი არქიტექტორები და ინჟინრები მახსოვს, მაგრამ მათდამი დიდი პატივისცემის მიუხედავად, კაცს, რომელსაც გასტადელში აქვს ცხოვრება გატარებული, ვფიქრობ, კლუბისთვის მეტის მიცემა შეუძლია.

— ნაკრების თავკაცად ალფიო ბაზილეს დანიშვნაზე რაღაც იტყოდით?

— ვიცი რა, ბევრი მონაცემები, ეს დანიშვნა არ გამკვირვებია. ის ხომ უკვე ხელმძღვანელობდა ნაკრებს და საკმაოდ კარგადაც, ჰოდა, რატომ არ უნდა მიეცეს კიდევ ერთი შანსი? ვფიქრობ, კარგი არჩევანია.

— იმედი გაქვთ, რომ ბაზილე ნაკრებში დაგაბრუნებთ?

— დიახ. ფეხბურთს თავი რომ არ დავანებე, ნაკრებში თამაშის სურვილის გამო. არგენტინას ახალი მწვრთნელი ჰყავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ახალ იდეებს მოიტანს. წინა მწვრთნელს არ ვჭირდებოდი. კარგი იქნება ყურადღებას თუ დავიმსახურებ, თქმით კი არაფერს ვეტყვი. ძალიან მინდა თამაში, ჯერ ხომ იმ ასაკში ვარ, ნაკრებისთვის დიდი სარგებლობის მოტანა რომ შეუძლიათ.

დავიდ იაროლიმი

ხუან პაბლო სორინი

ხელის მომწერი არგენტინელი და ხელმოტეხილი ჩეხი

არგენტინის ნაკრების კაპიტანი, „ვილიარეალის“ მცველი ხუან პაბლო სორინი შესაძლოა, „ჰამბურგში“ აღმოჩნდეს. 30 წლის ფეხბურთელს მწვრთნელ მანუელ პელეგრინისთან ურთიერთობა გაუფუჭდა და გუნდიდან წასვლა სურს. ბუნდესლიგურმა კლუბმა „ყვითლებს“ 3 მილიონი ევრო შესთავაზა.

სორინი ამ დღეებში ჩავა ჰამბურგში ჯამაგირის შესათანხმებლად და, გერმანულ მედიას თუ ვენდობით, ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

ჰამბურგელებმა მცველი ჰალიდ ბულარუზი „ჩელსის“ მიჰყიდეს და მიუხედავად იმისა, რომ მისი შემცვლელი — იორის მატიისენი — შეიძინეს, თომას დოლს კიდევ ერთი მცველი სჭირდება, რადგან ჩემპიონთა ლიგაში თამაში ელის.

გერმანული კლუბის სხვა ამბებიდან კი ის ვთქვათ, რომ ჩეხი ნახევარმცველი დავიდ იაროლიმი ხელმოტეხილია, რის გამოც ევრო 2008-ის შესარჩევ მატჩში ჩეხეთის ნაკრებს დააკლდება, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში „არსენალთან“ სათამაშოდ კი, ალბათ, მომჯობინდება.

იაროლიმი გასულ უქმეებზე ბერლინის „ჰერტასთან“ შეხვედრაში დაშავდა. იგი 68-ე წუთზე შეცვალეს: „ხელი საბელოსავით მეკიდა და ველარ ვამოძრავებდი. უოპერაციოდაც შეიძლებოდა მორჩენა, მაგრამ ამას ექვსი კვირა დასჭირდებოდა, ამიტომ ოპერაციის გაკეთება გადავწყვიტე და ორ კვირაში გამოვკეთდები. რაც შეეხება ნაკრებს, პრაღაში უკვე ვიყავი და მწვრთნელ კარელ ბრიუკნერს ყველაფერი ავუხსენი“.

ვაჟა ხუციშვილი

ალემანიას ნამატი: ზილარდ ნემეტი

ბუნდესლიგის „ალემანიამ“ ინგლისური „მიდლსბროდან“ მუქთად გადაიბირა სლოვაკი ფორვარდი ზილარდ ნემეტი, რომელსაც კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და გაათავისუფლეს.

29 წლის ფეხბურთელმა წინა სეზონი ქირით გაატარა „სტრასბურში“, მაგრამ ეს გუნდი მეორე დივიზიონში გავარდა და სლოვაკმა ჩაქვეითება არ ინება. ნემეტმა „ალემანიასთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

სამედიცინო შემოწმებისა და ქაღალდებზე ხელის მოწერის შემდეგ ფეხბურთელი ნაკრებს შეურთდა, რომელიც ევრო 2008-ის შესარჩევი მატჩისთვის ემზადება.

„იგი ძლიერი ფორვარდია და კარგი საგოლე ალღო აქვს“ — განაცხადა კლუბის გენერალურმა მენეჯერმა იორგ შმადტკემ.

ზილარდ ნემეტი გასულ უქმეებზე „ჰანოვერი“ — „ალემანიას“ მატჩს დაესწრო და თავისი გუნდის 3:0 მოგება ნახა.

სლოვაკ ფორვარდს ოთხ სხვადასხვა ქვეყანაში უთამაშია და 290 მატჩში 107 გოლი გაუტანა. ნაკრებში კი გოლების რაოდენობით პირველია — 56 შეხვედრაში 24 გატანილით. მისი დებიუტი „ალემანიაში“, ალბათ, 10 სექტემბერს, გერმანიის თასის მატჩში „ქემნიცთან“ შედგება.

ირაკლი ნინიძე

მოდი, მიდო!

აჰმედ ჰოსამი თავზე ბიბილოს დაიდგამს

ლონდონის „ტოტენჰემი“ იტალიური „რომასგან“ აჰმედ ჰოსამ მიდოს ყიდვას აპირებს. ეგვიპტელმა ფორვარდმა წელიწადნახევარი გაატარა „ტოტენჰემში“ ქირით, ახლა კი ამ გუნდის საკუთრება გახდება.

ეგვიპტის ნაკრების მწვრთნელმა ჰასან შეჰატამ განაცხადა, რომ მიდო მას ორი დღით დაეთხოვა შეკრებიდან და ლონდონში წავიდა სამედიცინო შემოწმებისთვის. „ოთხშაბათს დაბრუნება და ბურუნდისთან მატჩისთვის ნაკრებთან ერთად მოემზადება“ — თქვა შეჰატამ.

შარშანაც უნდოდა „ტოტენჰემს“ ფეხბურთელის ყიდვა რომაელებისგან, მაგრამ მაშინ 5 მილიონ გირვანქაზე უარი მიიღო. გასულ პრემიერლიგაში ეგვიპტელმა 27 შეხვედრაში 11 გოლი გაიტანა და მისი შეძენა „ბლექბერნს“ და „ნიუკასლსაც“ სურდათ.

იტალიის სუპერთასის მატჩში „ინტერსა“ და „რომას“ შორის მიდომ შეცვლაზე ითამაშა, მაგრამ მწვრთნელ ლუჩანო სპალეტის უთქვამს, ჩემს გეგმებში აღარ შედიხარო.

შეგახსენებთ, რომ „ტოტენჰემმა“ ამ ზაფხულს „ლევერკუზენიდან“ 10 მილიონ გირვანქად ბულგარელი მეგოლე დიმიტარ ბერბატოვი გადაიბირა, თუმც „მამლების“ თავკაც მარტინ იოლს შეტევის გასაძლიერებლად კიდევ ერთი თავდამსხმელი არ აწყენს, „ტოტენჰემი“ ხომ უეფას თასზე გამოდის და ამ სეზონში კვლავ ეცდება პრემიერლიგის ოთხეულში მოხვედრას, რათა ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვოს.

გიორგი კაკაბაძე

ტევესის სახე თოფის ლულაში

ლონდონის „არსენალი“ „კორინთიანსს“ კარლოს ტევესის სანაცვლოდ 17 მილიონ გირვანქას სთავაზობს. არგენტინელ ფეხბურთელს ბრაზილიაში დარჩენა აღარ სურს, მას შემდეგ, რაც გუნდში მწვრთნელად ემერსონ ლეაო მივიდა და მას კაპიტნის სამკლავური ჩამოართვა. ტევესს „კორინთიანსის“ ფანებთანაც წაუხდა ურთიერთობა, რადგან შარშანდელივით კარგად ვერ თამაშობს. არგენტინელის აგენტმა დაადასტურა, რომ „არსენალისგან“ წინადადება მიიღო, თუმც ბრაზილიური კლუბი 30 მილიონ გირვანქას ითხოვს.

ფული, რომლითაც ტევესი უნდა იყიდონ, „არსენალს“ ამ დღეებში გაუჩნდება, როცა ეშლი კოულს „ჩელსის“ მიჰყიდიან და აბრამოვიჩისგან 20 მილიონს მიიღებენ.

„მეთოფეებს“ კი ძალიან სჭირდებათ ფორვარდი, რადგან სეზონის დასაწყისი აშკარად ჩააგდეს და ორ პრემიერლიგურ მატჩში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანეს. არსენ ვენგერი იმედოვნებს, რომ „კორინთიანსს“ მოურიგდება და ფეხბურთელთან კონტრაქტს ხვალ საღამომდე, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე გააფორმებს

საინტერესოა, რომ შაბათს, 2 სექტემბერს, „არსენალის“ ახალ, „ემირატ სთედიუმზე“ არგენტინა და ბრაზილია ამხანაგურად ხვდებიან და ვენგერს სურს, კარლოს ტევესი ამ მატჩის წინ გამოაწყოს „მეთოფეთა“ მაისურში.

ნიჭიერი არგენტინელის მსურველთა შორის „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ჩელსიც“ იყვნენ, მაგრამ მათ უკან დაიხიეს, სამაგიეროდ, გამოჩნდა ფრანგული „ლიონი“, რომელსაც ასევე უნდა კარლოს ტევესის გადაბირება.

მოკლედ, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე გაირკვევა არგენტინელი ფორვარდის ბედი — დარჩება „კორინთიანსში“ თუ ევროპას მიაშურებს.

ირაკლი ნინიძე

გერმანული კომეტა

ესპანური „ბეტისი“ კლუბიდან ხოაკინ სანჩესის და რიკარდო ოლივეირას წასვლის შემდეგ (ხოაკინი „ვალენსიამ“ იყიდა, ბრაზილიელს კი „მილანში“ ოფიციალურ ჩარიცხვამდე ერთი ნაბიჯი აშორებს) ახალმა ფეხბურთელებმა შეავსეს. ანდალუზიურ გუნდში ამიერიდან გერმანელი დავიდ ოდონკორი და ბრაზილიელები, რაფაელ სობისი და ჟორჟე ვაგნერი ითამაშებენ.

გერმანიის ნაკრების წევრი ოდონკორი ევროპული ფეხბურთის სწრაფმავალი კომეტაა — 100 მეტრს 10,8 წამში ფარავს. გარდა ამისა, კარგი ტექნიკით და არაჩვეულებრივი ბრძოლისუნარიანობითაც გამოირჩევა. ამ ტრანსფერამდე „დორტმუნდის“ სპორტული დირექტორი მიხაელ ცორკი აცხადებდა, დავიდ ოდონკორს არავითარ შემთხვევაში არ გავყიდითო, თუმცა „ბეტისმა“ მაგიდაზე 6,5 მილიონი ევრო რომ დადო, ჰერ ცორკი დაყაბულდა.

რაფაელ სობისი და ჟორჟე ვაგნერი კი „ბეტისამდეც“ თანაგუნდელები იყვნენ — პორტუ ალეგრეს „ინტერში“ თამაშობდნენ. 21 წლის სობისის სატრანსფერო ღირებულება ჯერჯერობით უცნობია, ფორვარდი ვაგნერი კი ანდალუზიელებს 8 მილიონი ევრო დაუჯდათ.

კანუმ მაურინიუ შეარცხვინა



„მიდლსბროს“ მეკარე შვარცერი ოთხჯერ დაიჭიქეს

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲚᲘᲒᲐ. III ᲢᲣᲠᲘ

ᲛᲘᲓᲚᲡᲑᲠᲝ 0:4 ᲞᲝᲠᲢᲡᲛᲣᲗᲘ

0:1 კანუ (7), 0:2 მვარუვარი (50), 0:3 კანუ (57), 0:4 ტოდოროვი (90)

ᲛᲘᲓᲚᲡᲑᲠᲝ: შვარცერი, რიგოტი, პარნაბი, ტეილორი, პოგატეცი, მენდიეტა (როჩემბაკი 70), ბოატენგი, კატერმოლი (მორისონი 70), დაუნინგი, ვიდუკა (კრისტი 70), იაკუბუ

მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი

ᲞᲝᲠᲢᲡᲛᲣᲗᲘ: ჯეიმსი, პრიმუსი, პარამოტი, ს. კემპბელი, სტეფანოვიჩი, დევისი, ონილი, ტომპსონი (კორომანი 73), ტეილორი (პიუზი 86), კანუ (ტოდოროვი 83), მვარუავარი

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

გაფრთხილება: პარნაბი, დაუნინგი, ტოდოროვი

მსაჯი: ფოი

24 834 მაყურებელი

ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ წინ „ჩელსის“ მძლეველი „მიდლსბრო“ საკუთარ „რივერსაიდზე“ „პორტსმუთთან“ შერცხვა. ჰარი რედნაპის შეგირდები ბრწყინვალედ გაისარჯნენ და თავიანთ ისტორიაში, პრემიერლიგაში, ყველაზე დიდი სხვაობით იმარჯვეს გასვლით მატჩში. ამ მოგებით „პომპეი“ მეორე ადგილზე აკოცდა. ვთქვათ ისიც, რომ „ბოროს“ „პორტსმუთისთვის“ 1994 წლის სამი დეკემბრის მერე არ მოუგია.

სტუმაროა მხრიდან და მთლიანად მატჩის საუკეთესო მოთამაშე „პომპეის“ ახალწვეული ნვანკო კანუ იყო. ვეტერანი ნიგერიელი ბრწყინვალედ ბურთაობდა და აზალდაწყებულ სეზონში უკვე ოთხი გოლი მოუგროვდა. მან ანგარიში მე-7 წუთზევე გახსნა, როდესაც პორტსმუთელებმა კუთხური ჩააწოდეს.

პირველ ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა, მეორის დებიუტში კი ბენუანი მვარუვარიმ სხვაობა გაზარდა. ამან თითქოს მასპინძლები გამოაცოცხლა და მიჯრით სამი მწვავე მომენტი შექმნეს, მაგრამ ამაოდ. თანაც „პომპეის“ კარის დარაჯი დევიდ ჯეიმსი ბრწყინავდა. მალე სტუმრები კანუმ დაამშვიდა, რომელმაც მშვენიერი გარღვევა ჩვეულ სტილში ლამაზად დაასრულა. წერტილი კი ბოლო წუთზე, მის ნაცვლად მინდორზე შესულმა სვეტოსლავ ტოდოროვმა დასვა.

ჰარი რედნაპი: „კანუ მთელი ზაფხულის მანძილზე ნებისმიერი კლუბისთვის ხელმისაწვდომი იყო და მას ყურადღებას არავინ აქცევდა. საბედნიეროდ, დღეს იგი ჩვენთანაა და როგორ ბრწყინვალედაც თამაშობს, თავადაც ნახეთ. ჩინებულად გაისარჯნენ ლინვოი პრიმუსი, დევიდ ჯეიმსი და სოლ კემპბელიც. სოლი ნამდვილი კლდეა. მთავარია, ტრავმებმა არ შეგვიშალოს ხელი“.

„სამუშაო ჯერ კიდევ ძალიან ბევრი გვაქვს. მეტი იმპროვიზაციაა საჭირო. კომპლიმენტები „პორტსმუთს“, რომელმაც ძალიან კარგად ითამაშა“ — თქვა „ბოროს“ თავკაცმა გარეთ საუთგეიტმა.

ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲙᲐᲫᲐᲑᲐᲫᲔ

მანჩესტერი	3	3	0	0	10:2	9
პორტსმუთი	3	2	1	0	7:0	7
ასტონ ვილა	3	2	1	0	5:2	7
ევერტონი	3	2	1	0	5:2	7
ჩელსი	3	2	0	1	6:2	6
ვესტ ჰემი	3	1	1	1	5:4	4
ლივერპული	2	1	1	0	3:2	4
ბოლტონი	3	1	1	1	3:3	4
სიტი	3	1	1	1	1:3	4
ფულემი	3	1	1	1	3:6	4
უიგანი	2	1	0	1	2:2	3
რედინგი	3	1	0	2	4:5	3
ნიუკასლი	2	1	0	1	2:3	3
ტოტენჰემი	3	1	0	2	2:4	3
ჩარლტონი	3	1	0	2	3:6	3
მიდლსბრო	3	1	0	2	4:8	3
არსენალი	2	0	1	1	1:2	1
უოტფორდი	3	0	1	2	3:5	1
შეფილდი	3	0	1	2	1:4	1
ბლეკბერნი	3	0	1	2	1:6	1

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲚᲘᲒᲐ. V ᲢᲣᲠᲘ

ᲡᲐᲜᲓᲔᲠᲚᲔᲜᲓᲘ 2:0 ᲕᲔᲡᲢ ᲑᲠᲝᲛᲕᲘᲩᲘ

კარდიფი	5	3	2	0	6:2	11
ნორვიჩი	5	3	1	1	10:4	10
კრ. პალასი	5	3	1	1	9:6	10
ვულვზი	5	3	1	1	5:4	10
ბირმინგემი	5	3	1	1	5:4	10
ბარნლი	5	2	2	1	6:4	8
პლიმუთი	5	2	2	1	7:6	8
ვესტ ბრომვიჩი	5	2	2	1	5:4	8
ლიდსი	5	2	2	1	4:3	8
საუთჰემპტონი	5	1	4	0	7:5	7
ლუთონი	5	2	1	2	7:6	7
ლესტერი	5	2	1	2	4:4	7
ქოვენთრი	5	2	1	2	3:4	7
ბარნსლი	5	2	1	2	9:12	7
სტოკი	5	1	3	1	5:4	6
პრესტონი	5	1	3	1	5:5	6
საუთენდი	5	2	0	3	5:7	6
უენსდი	5	1	2	2	3:4	5
დერბი	5	1	2	2	7:9	5
ჭუინზ პარკი	5	1	2	2	6:8	5
იფსვიჩი	5	1	1	3	5:7	4
კოლჩესტერი	5	1	0	4	7:10	3
სანდერლენდი	5	1	0	4	6:9	3
ჰალი	5	0	1	4	3:8	1

ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲡᲚᲘᲒᲐ. V ᲢᲣᲠᲘ

უოკინგი — კიდერმინსტერი 3:0; უენმაუტი — ოქსფორდი 1:1; სტივენეიჯი — ფორესტ გრინი 3:3; ალბანსი — ტემუორტი 1:0; ნორსვიჩი — გრეისი 0:3; რაშდენი — იორკი 0:1; ექსეტერი — ქროული 1:1; სტაფორდი — ალდერშოტი 0:3; ჰალიფაქსი — მორეკომბი 1:1; დაგენემი — კემბრიჯი 2:0; გრეივსენდი — ალტრინჰემი 3:1; ბარტონი — საუთპორტი 0:1

ᲩᲔᲮᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲑᲠᲘᲜᲣᲡᲚᲘᲒᲐ

V ᲢᲣᲠᲘ

ᲢᲔᲞᲚᲘᲪᲔ 2:2 ᲛᲝᲡᲢᲘ

ბოლესლავი	5	4	1	0	9:1	13
ლიბერეცი	5	4	1	0	7:0	13
ბანიკი	5	3	0	2	10:7	9
სლავია	5	3	0	2	8:5	9
ბრნო	5	2	3	0	2:0	9
პლზენი	5	2	2	1	5:3	8
იაბლონეცი	5	2	2	1	4:4	8
ბუდეიოვიცე	5	2	2	1	3:3	8
სპარტა	5	2	2	1	3:4	8
პრეიბრამი	5	1	2	2	4:5	5
ტეპლიცე	5	1	2	2	7:9	5
ზლინი	5	1	1	3	4:6	4
მოსტი	5	0	3	2	7:9	3
სლოვაკეკო	5	1	0	4	5:9	3
კლადნო	5	0	2	3	1:7	2
სიგმა	5	0	1	4	2:9	1

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘᲒᲐ

III ᲢᲣᲠᲘ

ᲑᲣᲠᲒᲰᲐᲣᲖᲔᲜᲘ 0:2 ᲕᲘᲣᲜᲰᲔᲜᲘ

კარლსრუე	3	3	0	0	7:0	9
დუისბურგი	3	3	0	0	7:3	9
მიუნხენი	3	2	1	0	6:1	7
ჰანზა	3	2	1	0	4:1	7
კიოლნი	3	2	0	1	9:4	6
კობლენცი	3	2	0	1	4:2	6
ლაუტერნი	3	2	0	1	3:2	6
კარლ ცაისი	3	1	2	0	5:4	5
ესენი	3	1	1	1	2:1	4
პადერბორნი	3	1	1	1	1:2	4
აუე	3	1	0	2	3:5	3
ფრაიბურგი	3	0	2	1	1:3	2
ბრაუნშვაიგი	3	0	2	1	0:2	2
უნტერჰახინგი	3	0	1	2	1:3	1
ფიურტი	3	0	1	2	2:5	1
აუგსბურგი	3	0	1	2	0:3	1
ოფენბახი	3	0	1	2	2:6	1
ბურგჰაუზენი	3	0	0	3	1:11	0

ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ

ᲡᲣ�პᲔᲠᲚᲘᲒᲐ

I ᲢᲣᲠᲘ

ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ 1:1 ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲐ

1:0 ნანდინიო (47), 1:1 ბარბოსა (57)

ნავალი	1	1	0	0	2:0	3
სპორტინგი	1	1	0	0	3:2	3
ბრაგა	1	1	0	0	2:1	3
პორტუ	1	1	0	0	2:1	3
მარიტიმუ	1	1	0	0	1:0	3
ავეში	1	0	1	0	2:2	1
ბეირა მარი	1	0	1	0	2:2	1
აკადემიკა	1	0	1	0	1:1	1
სეტუბალი	1	0	1	0	1:1	1
ბენფიკა	0	0	0	0	0:0	0
ბელენენსეში	0	0	0	0	0:0	0
ბოავიშტა	1	0	0	1	2:3	0
ლეირია	1	0	0	1	1:2	0
ფერეირა	1	0	0	1	1:2	0
ნასიონალი	1	0	0	1	0:1	0
ამადორა	1	0	0	1	0:2	0

ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ

ᲗᲐᲡᲘ. III ᲔᲢᲐ�პᲘ

ᲚᲘᲜᲒᲕᲣᲠᲓᲘ 1:0 ᲣᲝᲢᲔᲠᲤᲝᲠᲓᲘ

ᲤᲘᲜᲔᲗᲘ

ᲕᲔᲘᲙᲐᲣᲡᲚᲘᲒᲐ. XVII ᲢᲣᲠᲘ

ᲰᲐᲙᲐ 0:3 ᲐᲚᲘᲪᲔᲜᲢᲔ

ჰონკა	18	11	2	5	42:23	35
ტამპერე	17	11	2	4	27:15	35
ჰაკა	17	10	3	4	23:13	33
ჰიკ	17	9	4	4	28:11	31
ტურკუ	18	8	3	7	29:23	27
ლაჰტი	18	7	3	8	17:20	24
მარიეჰამნი	18	6	5	7	19:19	23
მიუპა	16	6	4	6	15:15	22
ვაასა	18	6	4	8	21:26	22
კტპ	18	6	3	9	18:32	21
კუოპიო	18	4	3	11	13:33	15
იარო	17	3	5	9	21:28	14
ინტერი	16	3	5	8	12:27	14

ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲐ

ᲢᲘᲞᲔᲚᲘᲒᲐ. XVIII ᲢᲣᲠᲘ

ᲠᲣᲡᲔᲜᲑᲝᲠ�გᲘ 1:0 ᲡᲢᲐᲑᲔᲙᲘ

ბრანი	18	10	4	4	27:18	34
ლილესტრიომი	18	9	6	3	33:23	33
რუსენბორგი	18	9	6	3	28:18	33
სტაბეკი	18	7	7	4	27:20	28
ოდ გრენლანდი	18	7	7	4	27:21	28
ვოლერენგა	18	7	4	7	25:23	25
ლინი	18	7	4	7	23:23	25
სტარტი	18	6	6	6	18:23	24
სანდეფიორდი	18	6	4	8	24:31	22
ფრედრიკსტადი	18	5	6	7	26:30	21
ჰამ კამი	18	5	4	9	27:28	19
ტრომსიო	18	4	5	9	21:28	17
ვიკინგი	18	4	5	9	16:24	17
მიოლდე	18	5	2	11	18:30	17

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ

ᲐᲚᲡᲕᲔᲜᲡᲙᲐ. XVI ᲢᲣᲠᲘ

გიოტებორგი — ელფსბორგი 1:1; კალმარი — გეფლე 2:1; მალმიო — იორგრიტე 4:2. ჰამარბი — იურგორდენი 0:3-ზე შეწყდა

აიკ	16	9	5	2	32:16	32
ელფსბორგი	16	8	7	1	29:14	31
ჰამარბი	15	9	2	4	26:18	29
მალმიო	16	8	4	4	29:21	28
გიოტებორგი	16	7	6	3	24:15	27
იურგორდენი	15	6	6	3	18:13	24
კალმარი	16	7	2	7	21:18	23
გეფლე	16	5	4	7	16:24	19
ჰელსინგბორგი	15	4	6	5	21:21	18
გაის	15	4	5	6	15:20	17
ჰალმსტადი	16	3	6	7	11:20	15
ჰეკენი	16	2	6	8	17:27	12
იორგრიტე	16	2	5	9	15:27	11
იოსტერსი	16	2	4	10	11:31	10

ᲡᲣᲞᲔᲠᲔᲢᲐ

XXII ᲢᲣᲠᲘ

დეგერფორდი — ბრომაპოიკარნა 2:3; ლანდსკრონა — ასირისკა 4:1, სუნდსვალი — ქვიდინგი 2:1, უმეა — ნორჩოპინგი 1:3

ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲐ

ᲗᲐᲡᲘ

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲕᲘᲙᲘᲜ�გᲣᲠᲘ 0:4 ᲙᲘᲤᲚᲐᲕᲘᲙᲘ

ᲐᲨᲨ

ᲛᲔᲘᲯᲝᲠᲚᲘᲒᲐ

XXV ᲢᲣᲠᲘ

ᲙᲐᲜᲖᲐᲡᲘ 1:0 ᲓᲐᲚᲐᲡᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲚᲘᲒᲐ. XVIII ᲢᲣᲠᲘ

ᲠᲣᲑᲘᲜᲘ 2:1 ᲥᲠᲘᲚᲘᲐ

1:0 დომინგესი (29), 2:0 ბენ აშური (38), 2:1 მუჯირი (56)

ᲖᲔᲜᲘᲢᲘ 2:0 ᲐᲛᲙᲐᲠᲘ

1:0 თეკე (27), 2:0 ჩერნიჩკოვი (66 ს.კ.)

ᲧᲐᲖᲐᲜᲘᲡ „რუბინმა“ შვიდმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა და საკუთარ კედლებში სამარის „კრილიას“ მოუგო, რითაც მეხუთე ადგილზე აინაცვლა. როგორც ჩანს, ყურბან ბერდიევის შეგირდები ნელ-ნელა გამოდიან კრიზისიდან, თუმცა მომენტების რეალიზებასთან ჯერ კიდევ პრობლემები აქვთ.

ანგარიში რუბინელთა არგენტინელმა ვარსკვლავმა ალესანდრო დომინგესმა გახსნა, რომელმაც მორიგი ლამაზი გოლი გაიფორმა. მან საკმაოდ მახვილი კუთხიდან გაისროლა და ბურთიც მეკარის ზურგს უკან ჩაეშვა. ყაზანელები შეტევებს აგრძელებდნენ, რასაც მეორე გოლიც მოჰყვა — სალიმ ბენ აშურმა დამატებაზე ივარგა. სამარელთა მთავარ მწვრთნელ გაჯი გაჯიევის აზრით, მსაჯს თამაშგარე უნდა აღენიშნა, მაგრამ...

დავით მუჯირმა (მარცხნიდ) მშვენიერი გოლი გაიტანა

სკამეების სროლა და კარატე

„კრილია“ უქმად არ ყოფილა და ერთი გოლის გატანა შეძლო. ჩვენდა სასიხარულოდ, ეს დავით მუჯირმა მოახერხა, თანაც ძალიან ლამაზად. მან შორიდან, მიწაზე დაუშვებლად დაჰკრა ბურთს და ცხრიანში მოათავსა. ამას სამარელი ქომაგების მორიგი უწესრიგო საქციელი მოჰყვა, მათ სკამები მოტეხეს და ყაზანელ გულშემატკივრებს ესროლეს. საბოლოოდ მასპინძლებმა დამსახურებულად იმარჯვეს.

დიკ ადვოკაატის „ზენიტმა“ კი შინ იოლად მოუგო „ამკარს“. შესაბამისად, პერმელთა ახალ მწვრთნელ იგორ ურალევის დებიუტი წარუმატებელი გამოდგა. პირველი გოლი სანკტპეტერბურგელთა თურქმა ლეგიონერმა ფათიჰ თეკემ, კარატეს ილეთის მსგავსი მოძრაობით შეაგდო, ხოლო მეორე, სტუმრებმა თავად გაიტანეს საკუთარ კარში.

ᲙᲝᲪᲘ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ

ცსკა	18	11	4	3	29:15	37
სპარტაკი მ.	18	9	7	2	37:22	34
ლოკომოტივი	18	9	6	3	33:20	33
სპარტაკი ნ.	18	8	4	6	25:20	28
ზენიტი	18	6	9	3	23:20	27
რუბინი	18	7	6	5	21:22	27
მოსკვა	18	6	8	4	23:20	26
ტომი	18	6	7	5	20:17	25
კრილია	18	6	6	6	27:23	24
ლუჩ-ენერგია	18	7	3	8	22:23	24
სატურნი	18	4	11	3	18:13	23
როსტოვი	18	5	4	9	23:33	19
დინამო	18	3	7	8	17:25	16
ტორპედო	18	2	9	7	15:24	15
ამკარი	18	2	8	8	11:27	14
შინიკი	18	1	5	12	9:29	8

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ბელგია. II დივიზიონი						
		30 აგვისტო						
20:30	111	ვარეგემი-ვირტონი	2.05	3.10	3.10	1.23	1.23	1.54
20:30	112	სტ.ჟილი-ოსტენდე	2.35	3.00	2.65	1.31	1.24	1.40
20:30	113	ვიგორი-რონსე	1.90	3.10	3.50	1.17	1.23	1.64
22:00	114	დაინცე-კორტრაიკი	2.80	3.10	2.20	1.47	1.23	1.28
22:00	115	ეუპენი-დესელი	1.80	3.30	3.60	1.16	1.20	1.72
22:00	116	ჰევერლე-მეხელენი	1.80	3.20	3.60	1.15	1.20	1.69
22:00	117	ვაასლანდი-ანტვერპენი	1.95	3.10	3.30	1.19	1.22	1.59
22:00	118	ტუბეკე-ლომელი	2.65	3.10	2.30	1.42	1.23	1.32
		სლოვაკეთი						
		30 აგვისტო						
19:00	144	პეტრუალკა-ინტერი	1.50	3.50	5.50	1.04	1.17	2.13
22:00	145	სინეკი-ტრნავა	2.50	3.00	2.60	1.36	1.27	1.39
22:00	146	რუკომბეროკი-დუბნიცა	1.65	3.40	4.80	1.11	1.22	1.99
		შვედეთი. სუპერეტა						
		30 აგვისტო						
21:00	165	ატვიდაბერგი-ლიუნგსკილე	2.25	3.30	2.85	1.33	1.25	1.52
		იაპონია						
		30 აგვისტო						
13:30	180	იჩიკარა-კავასაკი	2.50	3.00	2.50	1.36	1.25	1.36
14:00	181	კაშიმა-ნაგოია	1.70	3.30	4.40	1.12	1.22	1.88
14:00	182	ოიტა-ურავა	2.75	3.20	2.25	1.47	1.23	1.32
14:00	183	ომია-ფუკუოკა	1.60	3.30	4.60	1.07	1.18	1.92
14:00	184	ჰიროსიმა-ივატა	2.55	3.00	2.45	1.37	1.24	1.34
14:00	185	შიმიცუ-კიოტო	1.45	3.50	6.00	1.02	1.16	2.21
14:00	186	იოკოჰამა-კოფუ	1.85	3.20	3.60	1.17	1.22	1.69
14:00	187	ტოკიო-ჩერეძო	1.60	3.50	4.50	1.09	1.18	1.96
14:00	188	გამბა-ნიიგატა	1.45	3.50	5.80	1.02	1.15	2.18
		აშშ						
		30 აგვისტო						
23:45	191	კანზასი-ნიუ იორკი	2.15	3.00	3.00	1.25	1.25	1.50
23:45	192	ჩიკაგო-ჰიუსტონი	2.20	3.00	2.90	1.26	1.25	1.47
23:45	193	სოლტ ლეიკი-ლოს ანჯ.	2.35	3.00	2.65	1.31	1.24	1.40
23:45	194	კოლორადო-დალასი	2.25	3.00	2.85	1.28	1.25	1.46
		მექსიკა						
		30 აგვისტო						
23:45	201	ატლანტე-ტიგრესი	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60
23:45	202	ატლასი-სან ლუისი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
23:45	203	კრუს ასული-ნეკახა	1.50	3.60	5.70	1.05	1.18	2.20
23:45	204	ხაგუარესი-ამერიკა	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
23:45	205	მონტერეი-ჩივასი	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
23:45	206	პაჩუკა-კერეტარო	1.80	3.20	3.70	1.15	1.21	1.71
23:45	207	ვერაკრუსი-მორელია	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
		ბრაზილია						
		30 აგვისტო						
23:45	230	ვრემიო-კრუზეირო	2.20	3.10	2.80	1.28	1.23	1.47
23:45	231	სანტა კრუზი-ბრასილია	2.75	3.20	2.25	1.47	1.23	1.32
23:45	232	პალმეირასი-ფიგეირენსე	1.70	3.30	4.20	1.12	1.21	1.84
23:45	233	სან კეტანო-კორინთიანსი	2.20	3.10	2.80	1.28	1.23	1.47
23:45	234	ჟეენტუდი-ფლამენგო	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
23:45	235	ატლეტიკო პრ-სანტოსი	2.35	3.00	2.65	1.31	1.24	1.40
23:45	238	გოიასი-ფლუმინენსე	2.10	3.10	3.00	1.25	1.23	1.52
		შოტლანდია. თასი						
		30 აგვისტო						
22:45	298	გრეტნა-ჰამილტონი	1.35	4.30	7.00	1.02	1.13	2.66
22:45	299	მონტროუზი-კლაიდი	4.00	3.60	1.70	1.89	1.19	1.15
22:45	301	ქუინი-ეარი	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
		სამხ.ამერიკ.თასი						
		30 აგვისტო						
23:30	313	ნაციონალი-ესპანიოლი	1.40	3.80	6.40	1.02	1.14	2.38
23:45	315	ლანუსი-ვალესი	2.10	3.10	3.10	1.25	1.25	1.54
23:45	316	ბოლივარი-უნივერსიტარიო	1.45	3.80	6.00	1.04	1.16	2.32
		კალათბურთი მს 2006 (იაპონია)						
		30 აგვისტო						
11:30	311	საბერძნეთი-საფრანგეთი	1.20	12.00	4.00	1.09	1.00	3.00
14:30	312	აშშ-გერმანია	1.01	12.00	10.00	1.00	1.00	5.45
		ბელგია. II დივიზიონი						
		30 აგვისტო						
20:30	111	ვარეგემი-ვირტონი	2.05	3.10	3.10	1.23	1.23	1.54
20:30	112	სტ.ჟილი-ოსტენდე	2.35	3.00	2.65	1.31	1.24	1.40
20:30	113	ვიგორი-რონსე	1.90	3.10	3.50	1.17	1.23	1.64
22:00	114	დაინცე-კორტრაიკი	2.80	3.10	2.20	1.47	1.23	1.28
22:00	115	ეუპენი-დესელი	1.80	3.30	3.60	1.16	1.20	1.72
22:00	116	ჰევერლე-მეხელენი	1.80	3.20	3.60	1.15	1.20	1.69
22:00	117	ვაასლანდი-ანტვერპენი	1.95	3.10	3.30	1.19	1.22	1.59
22:00	118	ტუბეკე-ლომელი	2.65	3.10	2.30	1.42	1.23	1.32
		სლოვაკეთი						
		30 აგვისტო						
19:00	144	პეტრუალკა-ინტერი	1.50	3.50	5.50	1.04	1.17	2.13
22:00	145	სინეკი-ტრნავა	2.50	3.00	2.60	1.36	1.27	1.39
22:00	146	რუკომბეროკი-დუბნიცა	1.65	3.40	4.80	1.11	1.22	1.99
		შვედეთი. სუპერეტა						
		30 აგვისტო						
21:00	165	ატვიდაბერგი-ლიუნგსკილე	2.25	3.30	2.85	1.33	1.25	1.52
		იაპონია						
		30 აგვისტო						
13:30	180	იჩიკარა-კავასაკი	2.50	3.00	2.50	1.36	1.25	1.36
14:00	181	კაშიმა-ნაგოია	1.70	3.30	4.40	1.12	1.22	1.88
14:00	182	ოიტა-ურავა	2.75	3.20	2.25	1.47	1.23	1.32
14:00	183	ომია-ფუკუოკა	1.60	3.30	4.60	1.07	1.18	1.92
14:00	184	ჰიროსიმა-ივატა	2.55	3.00	2.45	1.37	1.24	1.34
14:00	185	შიმიცუ-კიოტო	1.45	3.50	6.00	1.02	1.16	2.21
14:00	186	იოკოჰამა-კოფუ	1.85	3.20	3.60	1.17	1.22	1.69
14:00	187	ტოკიო-ჩერეძო	1.60	3.50	4.50	1.09	1.18	1.96
14:00	188	გამბა-ნიიგატა	1.45	3.50	5.80	1.02	1.15	2.18
		აშშ						
		30 აგვისტო						
23:45	191	კანზასი-ნიუ იორკი	2.15	3.00	3.00	1.25	1.25	1.50
23:45	192	ჩიკაგო-ჰიუსტონი	2.20	3.00	2.90	1.26	1.25	1.47
23:45	193	სოლტ ლეიკი-ლოს ანჯ.	2.35	3.00	2.65	1.31	1.24	1.40

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	194	კოლორადო-დალასი	2.25	3.00	2.85	1.28	1.25	1.46
		მექსიკა						
		30 აგვისტო						
23:45	201	ატლანტე-ტიგრესი	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60
23:45	202	ატლასი-სან ლუისი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
23:45	203	კრუს ასული-ნეკახა	1.50	3.60	5.70	1.05	1.18	2.20
23:45	204	ხაგუარესი-ამერიკა	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
23:45	205	მონტერეი-ჩივასი	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
23:45	206	პაჩუკა-კერეტარო	1.80	3.20	3.70	1.15	1.21	1.71
23:45	207	ვერაკრუსი-მორელია	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
		ბრაზილია						
		30 აგვისტო						
23:45	230	გრემიო-კრუზეირო	2.20	3.10	2.80	1.28	1.23	1.47
23:45	231	სანტა კრუზი-ინტერნაციონალი	2.75	3.20	2.25	1.47	1.23	1.32
23:45	232	პალმეირასი-ფიგეირენსე	1.70	3.30	4.20	1.12	1.21	1.84
23:45	233	სან კაეტანო-კორინთიანსი	2.20	3.10	2.80	1.28	1.23	1.47
23:45	234	ქუვენტუდი-ფლამენგო	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	235	ატლეტიკო პრ-სანტოსი	2.35	3.00	2.65	1.31	1.24	1.40
23:45	238	გოიასი-ფლუმინენსე	2.10	3.10	3.00	1.25	1.23	1.55
		შოტლანდია. თასი						
		30 აგვისტო						
22:45	298	გრეტნა-ჰამილტონი	1.35	4.30	7.00	1.02	1.13	2.66
22:45	299	მონტროუზი-კლაიდი	4.00	3.60	1.70	1.89	1.19	1.15
22:45	301	ქუინი-ეარი	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
		სამხ.ამერიკ.თასი						
		30 აგვისტო						
23:30	313	ნაციონალი-ესპანიოლი	1.40	3.80	6.40	1.02	1.14	2.38
23:45	315	ლანუსი-ვალესი	2.10	3.10	3.10	1.25	1.25	1.54
23:45	316	ბოლივარი-უნივერსიტარიო	1.45	3.80	6.00	1.04	1.16	2.32
		კალათბურთი მჩ 2006 (იაპონია)						
		30 აგვისტო						
11:30	311	საბერძნეთი-საფრანგეთი	1.20	12.00	4.00	1.09	1.00	3.00
14:30	312	აშშ-გერმანია	1.01	12.00	10.00	1.00	1.00	5.45

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
	მოსკოვის გამზირი №6	
ქუთაისი	ცისფერყანწელთა ქუჩა №4	
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 21	
ოზურგეთი	იოანე პეტრიწის ქუჩა №3	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	თამარ მეფის №1	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №17-29	
ზესტაფონი	დავით აღმაშენებლის №39	
გარდაბანი	დავით აღმაშენებლის №12	

გაფრინდაშვილმა ბერლინში ფაჩულია ნახა და ოლიმპიური დაიბევა

ფოტო: ეროვნული ბიბლიოთეკა

რუმინეთში ყოფნისას საქართველოს ნაკრებს ზაზა ფაჩულია გამოაკლდა და გერმანიაში „ადიდასის“ კემპზე წავიდა. ფაჩულია არ ყოფილა ერთადერთი ქართველი — ბერლინის კემპზე მიწვეული იყო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი გიორგი გაფრინდაშვილი, რომელმაც სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა და ქართველმა გამთამაშებელმა კემპის ოლ სტარშიც მიიღო მონაწილეობა. „დასკვნით მატჩში კემპის ერთ-ერთმა გამორჩეულმა მოთამაშემ, გიორგი გაფრინდაშვილმა შოუ მოაწყო. მან ყველა მოწინააღმდეგე დაჩრდილა, ვინც კი მის გამოკიდებას და დრიბლინგში დაჯაბვნას შეეცადა“ — აი, რას წერს გაფრინდაშვილის შესახებ გერმანული პრესა. გიორგი გუშინწინ თბილისში ზაზა ფაჩულიასთან ერთად ჩამოფრინდა და ბერლინური ამბებიც გამოვკითხეთ

— გერმანიაში საკმაოდ სერიოზული კემპი მოეწყო. მისი ორგანიზატორი იყო ნაციონალური საკალათბურთო ასოციაცია, რომელსაც კომპანია „ადიდასი“ სპონსორობდა. ეს იყო 1989 წელს დაბადებულთა კემპი, რომელშიც 30 ქვეყნიდან 74 მოზარდი მონაწილეობდა. კემპზე მწვრთნელებად მიწვეული იყვნენ როგორც ცნობილი სპეციალისტები, ასევე მოთამაშეები — შარუნას იასიკევიჩუსი, ჰიდაიეთ თურქოღლუ, ყოფილი ვარსკვლავი დეტლეფ შრემფი და ზაზა ფაჩულია.

— შენ რომ ერთი წლით დიდი ხარ?

— ჩემთან ერთად კიდევ 3-4 88-იანი იყო, გამონაკლისის სახით დაგვიშვეს.

— როგორ მოხვდი „ადიდასის“ კემპზე?

— სლოვენიაში, „ოლიმპიაში“ რომ ვიყავი, იქ მომივიდა მოწვევა და მაშინ გადაწყდა, რომ ბერლინში წავიდოდი.

— საკუთარი თავით კმაყოფილი ხარ?

— საბოლოოდ ოლ სტარში მოვხვდი და უკმაყოფილო რატომ უნდა ვიყო. ჩაჭრებში კი პირველ ადგილზე გავედი. კემპის უძვირფასესი მოთამაშე, მართალია ვერ გავხდი, მაგრამ ამის გამო სულაც არ ვდარდობ. ბერლინში იყო ფენომენად შერაცხული ნოლან სმიტი, რომელიც კოლეჯის კალათბურთის ვარსკვლავია ამერიკაში და ბერლინში კონკურენტი არ ჰყოლია.

— რა სახის ვარჯიშები იყო?

— ჩვეულებრივი კემპი იყო: დილით ვარჯიშები და საღამოს თამაში. ეგაა, რომ ყოველ დღე 2 თამაში გვქონდა და ძალიან ვიღლებოდით. სულ ოთხი დღე მიმდინარეობდა კემპი და საკმაო გამოცდილებაც დავაგროვე.

— ზაზა ფაჩულია რითი იყო დაკავებული?

— ფაჩულია კემპის საპატიო სტუმარი იყო. ის ვარჯიშებში იშვიათად ერეოდა, ოლ სტარის დროს კი საკმაოდ იაქტიურა. ის ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელთა შტაბში იყო. ძალიან გამიხარდა, ზაზა ბერლინში რომ ჩამოვიდა. მისი ხათრით მეც მეტ ყურადღებას მაქცევდნენ. ყველა პატივისცემით მეპყრობოდა.

— გერმანიაში, ცხადია, აგენტებიც იქნებოდნენ და ვინმე ხომ არ დაინტერესებულა შენით?

— ჩემს გუნდს ესპანელი სპეციალისტი წვრთნიდა, რომელმაც მითხრა, ესპანეთში თუ ჩამოხვალ, კარგ გუნდში მოეწყობი, მე ამაში დაგეხმარებიო.

— ჰოდა, რას აპირებ?

— მივდივარ, მაგრამ ესპანეთში არა, საბერძნეთში. ჩემმა მენეჯერმა რიდ სალივანმა „ოლიმპიაკოსის“ ვარიანტი გამიკეთა და მოწვევა უკვე მივიღე.

— შენ ხომ ხორვატიულ „დუბროვნიკში“ ხარ?

— დიახ, მაგრამ „ოლიმპიაკოსში“ გადასვლის შანსი მაქვს და უარი როგორ ვთქვა. ათენში ჩავალ, შემოწმებას გავივლი და თუ თავი გამოვიჩინე, დიდ გუნდში ამიყვანენ, არადა, სხვა გუნდში გამანათხოვრებენ. თითქმის გადაწყვეტილია, რომ საბერძნეთში დავრჩები. არადა, ისევ ხორვატიაში წავალ.

კენ შილდსმა საქართველო დახურა

ფოტო: ზურაბ ფულეთაძისეული

ლუქსემბურგთან ევროსაკვალიფიკაციო მატჩამდე 4 დღე რჩება და საქართველოს ეროვნული ნაკრები ახლაღა შეიკრიბა სრულად. თუმც, ეს „სრულად“ პირობითადაა ნათქვამი, რადგან გუნდს თბილისში არ ჩამოჰყოლია კანადელი მთავარი მწვრთნელი გორდონ ჰერბერტი.

სამაგიეროდ, ნაკრებს გუშინ შეუერთდა კენ შილდსი, ავსტრალიელი სპეციალისტი, რომელიც შარშანდელ ევროსაკვალიფიკაციოზე ჰერბერტის თანაშემწე იყო და ამ ეტაპზე მისი საქართველოს ნაკრებში დარჩენაც ბოლო წამსღა გადაწყდა. კენ შილდსი იაპონიის ნაკრებში მუშაობდა ამ მუნდიალზე და გუნდის ჯგუფში ჩარჩენის შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა. შილდსი ჰერბერტის თანაშემწე იქნება კენ ატკინსონთან და დავით უსტიაშვილთან ერთად და სანამ მთავარი მწვრთნელი საფრანგეთიდან თბილისში ჩამოვა, ნაკრების ვარჯიშებსაც ძირითადად ის გაუძღვება.

მას შემდეგ, რაც 5 აგვისტოს შეიკრიბა, ნაკრებში გუშინ პირველად ივარჯიშა ნიკა ცქიტიშვილმა, რომელიც ამერიკაში იყო და სანამ „სიეტლ სუპერსონიკსს“ არ შეუთანხმდა, მანამდე თბილისში არ ჩამოვიდა. ჩვენს ეროვნულ გუნდს ზაზა ფაჩულიაც შეემატა — მოგეხსენებათ, ის რუმინეთიდან გერმანიაში წავიდა, რათა „ადიდასის“ კემპში მიეღო მონაწილეობა.

მაშ ასე, დღეს-ხვალ ჰერბერტიც ჩამოვა და ქართველები ლუქსემბურგთან 3 სექტემბერის მატჩისთვის სრული შემადგენლობით შეუდგებიან მზადებას.

ირაკლი პერტაია

29 აგვისტო

მეოთხედფინალი ესპანეთი ვალებს იხდის

ესპანეთი 86:67 ლიტვა
28:11 19:18 18:12 24:25

ესპანეთი: გასოლი (25 ქულა, 9 მოხსნა), ნავარო (22), ფერნანდესი (10)
ლიტვა: დ. ლავრინოვიჩი (17), კლეიზა (15 ქულა, 14 მოხსნა), სონგაილა (14)

AFP სატელევიზიოდან

ესპანეთის ჯილა პაუ გასოლი

მეოთხედფინალამდე სულ ცეკვათამაშით მოსული ესპანელები ვერც ლიტვამ აცეკვა თავის დაკრულზე. სერხიო ერნანდესის ბიჭებმა ბალტიისპირელებსაც ისეთივე შავი დღე გაუთენეს, როგორიც მანამდე შემხვედრ ყველა მეტოქეს — 2003 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში მარცხისთვის ჯავრი ხომ ერთიათად ამოიყარეს და ბოლო 24 წელიწადში პირველად გავიდნენ მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში, სადაც, როგორც ოდნავ მოგვიანებით გაირკვა, თავიანთ „ბიძაშვილ“ არგენტინელებს შეებმებიან.

მისხალი შანსიც კი არ ჰქონიათ ლიტველებს. ესპანეთი ყველაფერში ჯობდა საკალათბურთო ქვეყნის ამ არცთუ სოლიდურ ნაკრებს — სისწრაფეშიც, ძალაშიც, დაცვაშიც, შეტევაშიც, მოკლედ, ყველაფერში. ლიტველები პირველი სამი მეოთხედი ძირითადად ბურთის უპარდონოდ დაკარგვით იყვნენ დაკავებულები, ესპანელები კი ამ დაკარგული ბურთების საკუთარ ქულებად ქცევით.

თვით უჩაუქესმა ლიტველმა არვიდას მასიაუსკასმაც ჩაიფლავა და სხვებს რაღაც უნდა მოჰკითხო. ბალტიელთა გამთამაშებელმა 21 სრულიად არამი წუთი დაიპყრო მოედანზე და ოქმში 0 ქულა, 0 მოხსნა და 5 დაკარგვა ჩაეწერა.

კიდევ არა უშავდათ ლიტველთა მეფარეებს, რომლებიც მართალია, მრისხანე პაუ გასოლს ვერაფერს აკლებდნენ, მაგრამ შეტევაში ხანდახან ახერხებდნენ ქულების მოპოვებას. პირველ ექვს წუთში ესპანეთი 17:11 გაუსხლტა ლიტვას, მერე კი სულ გაიქცა, პირველი მეოთხედი 28:11 მოიგო და მეორის დასაწყისში 32:11 გალიდერდა. ლიტველები აქ ცოტა აზრზე მოვიდნენ, 10:0 გაქცევა მოახერხეს და 11 ქულამდე შეამცირეს სხვაობა, მაგრამ პაუ გასოლმა ორი საჯარიმო ჩააგდო, ერთხლაც ჩატენა და იქვე მოუკლა მეტოქეს რაღაც სოლიდურის გაკეთების სურვილი და შესაძლებლობა.

დაფრინავდა ესპანელთა სათადარიგო რუდი ფერნანდესი. ბევრი არ ჩაუგდია, მაგრამ ორჯერ ისე დააცხრა ლიტველთა კალათს, ნბა-ს უჩთაუქეს ჩამტენებს შეშურდებოდათ. მისიანებმა ტაიმის 47:29 მოგების შემდეგ მესამე მეოთხედში სულ დაჩაგრეს. ისედაც დაცემული მეტოქე და 57:30 გაექცნენ, მერე კი შეიბრალეს და სადავეები მოუშვეს.

კოტე ყორშია

რევერანსი დაჭერილ ნადირს

არგენტინა 83:58 თურქეთი
25:16 18:7 32:17 8:18

არგენტინა: ნოჩიონი (21), ფერნანდესი (14), სკოლა (13), ობერტო (10)
თურქეთი: აქიოლი (11), ერდოგანი (10)

თითქოს მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალს კი არა, სპარინგმატჩს თამაშობენო, არგენტინელებმა ცალი ხელით შემუსრეს თურქები, ზუსტად ისევე, როგორც მათმა მომდევნო მეტოქე ესპანელებმა ლიტველები.

ნაიოლმატჩევს არგენტინელთა ლიდერი მანუ ჯინობილი ლამის მიწამდე ხრიდა თავს თურქთა რევერანსებში — ესაო, ისაო, ძალიან მაგრად გვეთამაშნენ და სულაც არ იყო იოლი შეხვედრაო. თვითონ ჯინობილი მეტწილად სკამზე იჯდა (16 წუთი, 7 ქულა) და იქიდან უდარდელი სახით ადევნებდა თვალს, როგორ ხდიდნენ სულს მისი თანაგუნდელები თურქებს.

ოლიმპიურმა ჩემპიონებმა პირველივე წუთებიდანვე გააცხადეს, ვინ იყო იმ საღამოს მოედანზე ყოჩი. დაცვაში ისეთი ხაფანგები დააგეს, ძნელი იყო საწყალ თურქებს თავი იმ ნადირად არ წარმოედგინათ, ჰა და ჰა, რომ უყელებს მონადირე.

მეორე მეოთხედში სულ რაღაც 7 ქულა შეაკოწიწეს თურქეთმა, მესამეს შემდეგ კი 35-ით აგებდნენ. კიდევ კარგი, ბოლო მეოთხედში გამოფხიზლდნენ და დაარხეინებულ არგენტინელებს 18:8 აჯობეს, თორემ ანგარიში საერთოდ სამარცხვინო იქნებოდა, მათთვის, რა თქმა უნდა. ისე, თურქებს ბედის სამდურავი არაფერი აქვთ, იაპონიაში „ვაილდ ქარდით“ მოხვდნენ, ჯერჯერობით 7 თამაშიდან 5 მოიგეს და მეხუთე-მერვე ადგილებისთვის ბრძოლას გააგრძელებენ. ისე, მათი საუკეთესო შედეგი მუნდიალებზე 2002 წელს ინდიანაპოლისში მე-9 ადგილი იყო.

კოტე ყორშია

ტია ელებომ კაისა ბერგკვისტს ბრიუსელშიც აჯობა

ტიამ კაისა წაიღო, იძახდა წიავ-წიავსა

ოქროს ლიგის მეხუთე ეტაპმაც ვერაფერი შეცვალა მილიონის ღირებულების ოქროს ზოდებისთვის დავაში. ლიგის დაუმარცხებელმა ოთხეულმა ბრიუსელშიც დაუმარცხებლად ჩაირბინა. ასაფა პაუელმა (კაცთა 100მ.), ჯერემი უორინერმა (კაცთა 400 მ.), სანია რიჩარდსმა (ქალთა 400 მ.) და ტირუნეშ დიბაბამ (ქალთა 5000 მ.) კვლავ აჩვენეს თავიანთი ზურგები გვერდში მდგომებს.

ესენი სულ იგებენ, ჩვენ სხვებისა ვთქვათ. ბრიუსელის კოხტა სტადიონმა მსოფლიო რეკორდიც იხილა. სავანებსა და აღმასავლეთ აფრიკის ველ-მინდვრებში გაზრდილმა კენიელებმა 4X800 მეტრზე ესტაფეტა მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო შედეგით მოიგეს. აგერ, კენიელთა მერეკორდე ოთხეულიც — მუტუა (800 მეტრი გაირბინა 1 წუთსა და 46,3 წამში), იამპოი (1:44,6), კომბიჩი (1:46,1) და ბუნგეი (1:45,5). ამ ოთხეულმა 3200 მეტრს ჯამში 1 წუთი და 2,43 წამი ამყოფინა, რითაც 1982 წელს ბრიტანელთაგან დამყარებულ მსოფლიო რეკორდს 1,45 წამი მოაჭრა. ამ სიგრძე გზის გათვალისწინებით, ბევრი ნამდვილად არაა, მაგრამ მაინც ხომ ახალი რეკორდია და სახსენებლად უთუოდ ღირს.

მსოფლიო რეკორდები ყველა ტურნირზე როდი მყარდება და ამ მხრივ ბრიუსელელებს, შეიძლება ჩაითვალოს, რომ გაუმართლათ, თუმცა მათ სხვათა გამარჯვებით უფრო მეტად ნაამებმა დატოვეს სტადიონი. სხვათა კი არა, თავისიანთა — იყოჩაღეს სიმაღლეზე მხტომელმა ტია ელებომ და სპრინტერმა კიმ გევარტმა. ეს გოგონები გადასარევ ფორმაში არიან, ორიოდ კვირის წინ გიოოტებორგში ევროპირველობაზე იჩემპიონეს.

კიმ გევარტი 100 და 200 მეტრზე თანაბრად კარგად დარბის, გიოტებორგში ორივე დისტანცია მოიგო, მაგრამ რაშიც ევროპაში პირველობს, ამერიკელ ფეხჯომაჯერდებთან ასევე ულაპარკო უპირატესობა არ აქვს, 100 მეტრი იგულისხმება. ჰოდა, ბელგიელმა გოგონამაც მთელი ძალა 200 მეტრს დაახარჯა, ეს მანძილი 22,68 წამში გაიფეხმარდა და უახლოეს მდევარ დები ფერგიუსონს ზუსტად მეოთხედი წამით მოასწრო.

რაც შეეხება მასპინძელთა მეორე მაამებელ ტია ელებოს, მას შემდეგ, რაც მან გიოტებორგში მასპინძელთა უმთავრესი ფავორიტი კაისა ბერგკვისტი დააქვეითა, შეუძლებელია, ყველგან ოქრო არ დაგეგმოს. ამ სათვალიან გოგოში პირველი შეხედვით ძნელად ამოიცნობთ რამის მომგებ სპორტსმენს, სწავლას გადამკვდარ გალეულ სტუდენტს უფრო ჰგავს, მაგრამ წვივებში კუნთების ნაცვლად ზამბარები რომ უდგას, აგერ ბრიუსელშიც დაამტკიცა. ელებო არც ძალიან მაღლა ამხტარა, საუკეთესო შედეგად 1,97 მეტრი ჩაეწერა, თუმც ეს საკმარისი აღმოჩნდა ბერგკვისტის კვლავ დასამარცხებლად. მან კი არა, შვედს ბულგარელმა ვანელინა ვენევამაც აჯობა, ისევე, როგორც შვედისთვის იმ ავადსახსენებელ გიოტებორგში.

მილიონის ოქროებში წილს ველარ მოითხოვს ქარივით სწრაფი ამერიკელი სპრინტერი ტაისონ გაი, მან ვერ შეძლო ოქროს ლიგის ყველა ეტაპის მოგება, თუმცა ის მაინც დარბის, თანაც ძალიან კარგად და ბრიუსელშიც დაამტკიცა, რომ 200 მეტრის 20 წამზე ნაკლებში გარბენა მისთვის ჩვეულებრივი ამბავია. ახლა მან ამ დისტანციას 19,79 წამი მოანდომა, რაც ამ სეზონში მესამე უჩქარესი შედეგია და ტაშიც ალალად დაიმსახურა.

როგორც თავშივე ითქვა, 100 მეტრის მეფე ასაფა პაუელმა კვლავ იმარჯვა, ოღონდ თავად დიდად ვერ კმაყოფილობდა. ასეა, დღენიადაგ შენივე მსოფლიო რეკორდის, 9,77 წამის გაუმჯობესება რომ გიტრიალებს თავში, 9,99 წამი უბადრუკ შედეგად მოგეჩვენება.

კოტე ყორღია

და საქართველო სად არის...

გასულ უძმეებზე ბრიუსელში „ოქროს ლიგის“ მორიგი ეტაპი გაიმართა და იქ ერთი მსოფლიოს რეკორდიც დამყარდა, ოღონდაც არაოლიმპიურ და არცთუ პოპულარულ სახეობაში — 4X800 მეტრზე ესტაფეტაში კენიელთა კვარტეტმა დისტანცია 7 წუთსა და 02,43 წამში დაფარა და სებასტიან კოესა და სტივენ ოვეტის დროინდელი ბრიტანული რეკორდი 1,45 წამით გააუმჯობესა.

ბოლო წლებია, მძლეოსნობაში მსოფლიოს რეკორდების დამყარება საძნელო საქმე გახდა და უფრო ხშირად რეკორდებს, ისეთ ეგზოტიკურ სახეობებში თუ ამყარებენ, ქალთა უროს ტყორცნა და ისევ და ისევ ქალთა სტაირეული დისტანციები თუ არის.

ამასთან დაკავშირებით, გადავწყვიტეთ [illegible] ზოთ მსოფლიოს, ევროპისა და, ამავდროულად, საქართველოს რეკორდების ნუსხა მძლეოსნობის ოლიმპიურ სახეობებში. პირველ გრაფაში მსოფლიოს რეკორდებია ნაჩვენები, მეორეში — ევროპისა, ხოლო მესამეში — საქართველოსი. იმ სახეობებში, რომლებშიც მსოფლიოს რეკორდს ევროპელები ფლობენ, დამატებით ევროპის რეკორდი აღარ არის აღნიშნული.

„სარბიელის“ დღევანდელ ნომერში კაცთა რეკორდებს შემოგთავაზებთ, ხვალინდელში — ქალების მიღწევებს, ხოლო ზეგ — რადგანაც არაოლიმპიური სახეობით დავიწყეთ, ამ, არაოლიმპიური ნომინაციების რეკორდსმენებს გაგაცნობთ.

100 მ.			
ასაფა პაუელი (იამაიკა)	9,77	14.06.2005	ათენი
ფრენსის ობიკველუ (პორტუგალია)	9,86	22.08.2004	ათენი
ბესიკ გოცირიძე	10,35	1987	ნახკაძორი
200 მ.			
მაიკლ ჯონსონი (აშშ)	19,32	01.08.1996	ატლანტა
პიეტრო მენეა (იტალია)	19,72	12.09.1979	მეხიკო
ბესიკ გოცირიძე	20,59	1987	მოსკოვი
400 მ.			
მაიკლ ჯონსონი (აშშ)	43,18	26.08.1999	სევილია
ტომას შიონლებე (გერმანია)	44,33	03.09.1987	რომი
ალიფ ალიევი	45,46	1983	კიევი
800 მ.			
უილსონ კიპკეტერი (დანია)	1.41,11	24.08.1997	კიოლნი
ანატოლი ნეკრასოვი	1.49,60	1979	თბილისი
1500 მ.			
ჰიშამ ელ გერუჯი (მაროკო)	3.26,00	14.07.1998	რომი
ფერმინ კაჩო (ესპანეთი)	3.28,95	13.08.1997	ციურიხი
მიხეილ შაპოვალოვი	3.42,40	1979	მოსკოვი
5000 მ.			
კენენისა ბეკელე (ეთიოპია)	12.37,35	31.05.2004	ჰენგელო
მოჰამედ მურჰიტი (ბელგია)	12.49,71	25.08.2000	ბრიუსელი
ოლეგ სტრიჟაკოვი	13.29,40	1985	კიევი
10 000 მ.			
კენინისა ბეკელე (ეთიოპია)	26.17,53	26.08.2005	ბრიუსელი
მოჰამედ მურჰიტი (ბელგია)	26.52,30	03.09.1999	ბრიუსელი
ოლეგ სტრიჟაკოვი	28.16,15	1990	მოსკოვი
მარათონი			
პოლ ტერგატი (კენია)	2:04.55	28.09.2003	ბერლინი
ბენუა ზვერჩიევსკი (საფრანგეთი)	2:06.36	06.04.2003	პარიზი
110მ. თარჯრბენი			
ლიუ ჰიანგი (ჩინეთი)	12,88	11.07.2006	ლოზანა
კოლინ ჯექსონი (ბრიტანეთი)	12,91	20.08.1993	შტუტგარტი
დავით ილარიანი	13,69	2004	კიევი
400მ. თარჯრბენი			
კევინ იანგი (აშშ)	46,78	06.08.1992	ბარსელონა
სტეფან დიაგანა (საფრანგეთი)	47,37	05.07.1995	ლოზანა
იური კოზილსკი	50,70	1968	მოსკოვი
3000 მ. წინაღობებით			
საიფ საად შაჰინი (ყატარი)	7.53,63	03.09.2004	ბრიუსელი
საიმონ ვრემენი (ჰოლანდია)	8.04,95	26.08.2005	ბრიუსელი
სერგეი სკრიპკა	8.28,00	1977	სოჭი
სიგრძეზე ხტომა			
მაიკ პაუელი (აშშ)	8,95	30.08.1991	ტოკიო
რობერტ ემიანი (სსრკ-სომხეთი)	8,86	22.05.1987	ნახკაძორი
ვახტანგ მინაშვილი	8,02	1986	ტაშკენტი
სიმაღლეზე ხტომა			
ხავიერ სოტომაიორი (კუბა)	2,45	27.07.1993	სალამანკა
პატრიკ შიობერგი (შვედეთი)	2,42	30.06.1987	სტოკჰოლმი
გენადი გოლუბოვი	2,21	1984	ტარტუ
სამხტომი			
ჯონათან ედვარდსი (ბრიტანეთი)	18,29	07.08.1995	გიოტებორგი
ვიქტორ სანეევი	17,44	1972	სოხუმი
ჭოკით ხტომა			
სერგეი ბუბკა (უკრაინა)	6,14	31.07.1994	სესტრიერე
სერგეი ამოსოვი	5,30	1983	ხარკოვი
ბირთვის კვრა			
რენდი ბარნსი (აშშ)	23,12	20.05.1990	ისტვუდი
ულფ ტიმერმანი (გერმანია)	23,06	22.05.1988	ჰანია
ტარიელ ბიწაძე	20,94	1988	კიშინოვი
ბადროს ტყორცნა			
იურგენ შულტი (გერმანია)	74,08	06.06.1986	ნოიბრანდენბურგი
გურამ გუდაშვილი	62,80	1968	თბილისი
შუბის ტყორცნა			
იან ჟელეზნი (ჩეხეთი)	98,48	25.05.1996	იენა
ამბროსი მათიაშვილი	75,48	1990	მოსკოვი
უროს ტყორცნა			
იური სედიხი (სსრკ-უკრაინა)	86,74	30.08.1986	შტუტგარტი
იოსებ შავერდაშვილი	78,12	1991	თბილისი
20კმ. სპორტული სიარული			
ჯეფერსონ პერესი (ეკვადორი)	1:17.21	23.08.2003	სენ-დენი
ფრანსისკო ფერნანდესი (ესპანეთი)	1:17.22	28.04.2002	ტურკუ
ალექსანდრე შჩერბინა	1:26.45	1970	თბილისი
50კმ. სპორტული სიარული			
რობერტ კორჟანოვსკი (პოლონეთი)	3:36.03	27.08.2003	სენ-დენი
ალექსანდრე შჩერბინა	3:57.53	1965	ალმაატა
4 X100მ.			
აშშ	37,40	08.08.1992	ბარსელონა
ბრიტანეთი	37,73	29.08.1999	სევილია
საქართველო	40,40	1979	მოსკოვი
4 X400მ.			
აშშ	2.54,20	22.07.1998	იუნიონდეილი
ბრიტანეთი	2.56,60	03.08.1996	ატლანტა
საქართველო	3.10,8	1967	ტაშკენტი
ათჭიდი			
რომან სებრლე (ჩეხეთი)	9026	27.05.2001	გიოტციზი
ვასილი პოტაპენკო	7372	1986	თბილისი

US OPEN 2006 **ამერიკის ღია ჩემპიონატი 2006. ჰარდი. საპრიზო 14 769 000 $** US OPEN 2006

ერთიანი ბიბლიოთეკა



AFP ნიუ იორკიდან

ანდრე აგასის საგულშემატკივროდ შტეფი გრაფმა მთელი საზოგადოება შეყარა

ბებრის ოცნება: ორი კვირა

კაცები

მარკოს ბაღდატისი (8, კვიპროსი) — ალექსანდერ ვასკე (გერმანია) 7:6 7:6 6:3; **ანდრე აგასი** (აშშ) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 6:7 7:6 7:6 6:2; **ბენჯამინ ბეკერი** (გერმანია) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 4:6 7:6 6:4 7:6; **ტიაგო ალვეში** (ბრაზილია) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 6:2 7:5 6:7 6:3; **კრისტიან პლესი** (დანია) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 3:6 3:6 7:6 6:1 6:2; **ენდი როდიკი** (9, აშშ) — ფლორენ სერა (საფრანგეთი) 6:2 6:1 6:3; **მარდი ფიში** (აშშ) — სიმონ გროილი (გერმანია) 6:4 6:4 1:6 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (20, სერბეთი) — დონალდ იანგი (აშშ) 4:6 6:3 6:0 6:0; **რიშარ გასკე** (25, საფრანგეთი) — ფილიპ სიმონდსი (აშშ) 6:1 6:3 6:1; **ჟილ სიმონი** (საფრანგეთი) — დანიელე ბრაჩიალე (იტალია) 7:5 6:4 6:1; **მარკო ჩიუდინელი** (შვეიცარია) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:4 6:1 6:4; **ფელიციანო ლოპესი** (ესპანეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (3, ხორვატია) 6:3 6:3 6:3; **ტომი რობრედო** (6, ესპანეთი) — ფლავიო სარეტა (ბრაზილია) 6:2 6:1 6:2; **ჰიუნგ-ტაიკ ლი** (სამხ. კორეა) — რუბენ რამირეს-იდალგო (ესპანეთი) 7:5 6:4 6:0; **როგინ სოდერლინგი** (შვედეთი) — ივო კარლოვიჩი (ხორვატია) 6:4 7:6 7:5; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — ხუან-იგნასიო ჩელა (31, არგენტინა) 6:7 6:4 6:4 6:4; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — დომინიკ ჰრბატი (19, სლოვაკეთი) 7:5 6:1 6:3; **ნიკოლას მასუ** (ჩილე) — დავიდე სანგინეტი (იტალია) 6:7 6:4 6:4 6:4; **ჯასტინ გიმელსტობი** (აშშ) — ოლივიე მარახი (ავსტრია) 6:2 6:3 7:5; **დავიდ ფერერი** (11, ესპანეთი) — ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) 7:6 7:6 6:1; **ძსავიე მალისი** (ბელგია) — იარკო ნიემინენი (13, ფინეთი) 6:4 7:5 6:2; **ბიორნ ფაუ** (გერმანია) — ჯეფ მორისონი (აშშ) 6:3 7:6 6:4; **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 7:5 6:2 7:5; **პარადორნ შრიჩაპანი** (ტაილანდი) — ხოსე აკასუსო (24, არგენტინა) 6:3 3:6 7:6 6:7 6:3;

ქალები

სვეტლანა კუზნეცოვა (6, რუსეთი) — სანდრა კლოზელი (გერმანია) 6:2 2:6 6:3; **ლორენ ალგანეზე** (აშშ) — ოლგა სავჩუკი (უკრაინა) 6:7 6:4 6:2; **ანასტასია როდიონოვა** (რუსეთი) — ჰანა შრომოვა (ჩეხეთი) 7:5 7:5; **ში ჟენგი** (25, ჩინეთი) — კვეტა პეშკე (ჩეხეთი) 6:4 5:7 7:5; **ელენა იანკოვიჩი** (19, სერბეთი) — გიზელა დულკო (არგენტინა) 6:7 6:1 6:4; **კირსტენ ფლიპკენსი** (ბელგია) — იუნგ-იან ჩანი (ტაივანი) 6:4 6:2; **ალიონა ჟიდკოვა** (რუსეთი) — ჯესიკა კირკლანდი (აშშ) 3:6 6:2 6:4; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (9, ჩეხეთი) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:4 6:3; **არვან რეზაი** (საფრანგეთი) — ანა-ლენა გრონეფელდი (15, გერმანია) 2:6 6:0 6:4; **ლუსი შაფაროვა** (ჩეხეთი) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) 6:2 7:6; **სევერინ ბრემონდი** (საფრანგეთი) — სტეფანი დიუბუა (კანადა) 6:1 6:3; **მარია კირილენკო** (20, რუსეთი) — ჯულია შრუფი (გერმანია) 6:1 6:3; **ვერა ზვონარიოვა** (რუსეთი) — მარტა დომახოვსკა (პოლონეთი) 7:6 6:3; **ჯილ კრეიბასი** (აშშ) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 6:2 6:0; **ემა ლეინი** (ფინეთი) — მეილენ ტუ (აშშ) 6:1 6:1; **ელენა დემენტიევა** (4, რუსეთი) — ლაურა გრენვილი (აშშ) 6:1 6:4; **პატი შნიდერი** (7, შვეიცარია) — ანა სმაშნოვა (ისრაელი) 6:1 6:2; **სოფია არშიდსონი** (შვედეთი) — კონჩიტა მარტინეს გრანადოსი (ესპანეთი) 6:2 6:4; **ვარვარა ლეპშენკო** (უზბეკეთი) — კატალინა კასტანო (კოლუმბია) 6:2 6:4; **მარიონ ბარტოლი** (26, საფრანგეთი) — ოლგა პუტჩკოვა (რუსეთი) 6:4 6:0; **კატარინა სრებოტნიკი** (22, სლოვენია) — აკიკო მორიგამი (იაპონია) 6:2 6:3; **ეკატერინა ბიჩკოვა** (რუსეთი) — ლუდმილა სკავრონსკაია (რუსეთი) 6:2 6:3; **ელენა კოსტანიჩი** (ხორვატია) — შინობუ ასაგოე (იაპონია) 6:4 7:6; **ლინდსი დევენპორტი** (10, აშშ) — კლარა ზაკოპალოვა (ჩეხეთი) 6:1 6:4; **ფრანჩესკა სკიავონე** (14, იტალია) — რომინა ოპრანდი (იტალია) 6:1 6:2; **სანია მირზა** (ინდოეთი) — კაროლინა შპრემი (ხორვატია) 6:4 6:2; **მარტინა მიულერი** (გერმანია) — ანასტასია იაკიმოვა (ბელორუსია) 7:6 6:3; **შაჰარ პირი** (21, ისრაელი) — ვასილისა ბარდინა (რუსეთი) 6:2 6:2; **აი სუგიამა** (28, იაპონია) — სუზანა ონდრასკოვა (ჩეხეთი) 6:1 6:0; **ტატიანა გარბინი** (იტალია) — მენგ იუანი (ჩინეთი) 6:3 6:1; **ვანია კინგი** (აშშ) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) 6:3 6:2; **ჟუსტინ ენენ-არდენი** (2, ბელგია) — მარია ელენა კამერინი (იტალია) 6:2 6:1

გუშინ წლის უკანასკნელი სლემტურნირი დაიწყო, თან რა უცნაურად — ჩოგბურთელებმა კორტზე გასვლა ვერ მოასწრეს, თქეში რომ წამოვიდა და ყველას ნიუ იორკის მაგივრად ლონდონში ეგონა თავი. თუმც წვიმამ მალე გადაიღო და სათამაშო დღე ოდნავ კი დამოკლდა, მაგრამ მაინც შედგა.

შედგა და პირველივე დღეს „ფლეშინგ მედოუზის“ კორტებზე განთესილთა სკალპებზე გამოცხადდა დიდი ნადირობა — მთლიანობაში მარტო კაცებში ხუთი ფავორიტი „დაასახიჩრეს“. თუმცა სანამ ამაზე დაწვრილებით მოგახსენებთ, სხვა რამ არის სათქმელი.

დღის უმთავრესი მოვლენა ხომ მაინც ანდრე აგასის კორტზე გამოჩენა იყო — შეიძლებოდა, ეს ამ ცოცხალი ლეგენდის ბოლო შეხვედრა გამომდგარიყო დიდ ჩოგბურთში.

მაგრამ აგასის უფლება არ ჰქონდა, პირველივე წრეში წაეგო — მერე რა, რომ უკვე 36 წლისაა და ტრავმებმაც სერიოზულად დააძაბუნა მისი სხეული. ანდრეს მაინც არ შეეძლო, გაემწარებინა არტურ ეშის სახელობის ცენტრალურ კორტზე შეკრებილი 23 736 ამერიკელი.

არც გაამწარა. ბუნებისა თუ ადამიანური ფიზიოლოგიის ყველა კანონის წინააღმდეგ გაიბრძოლა ამ 36 წლის კაცმა, სამსაათნახევარი შეუსვენებლივ ირბინ-იბრძოლა და ანდრეი პაველი მაინც დასცა.

არადა, პირველი სეტი აგასიმ ტაი-ბრეიკზე წააგო, მაგრამ მეორე პარტია ასევე საჩოგბურთო ლატარიაში მოიგო და სიტუაციაც გაათანაბრა.

მესამე სეტში რუმინელი 4:0 დაწინაურდა. თითქოს აგასი წელში აქ უნდა გამტყდარიყო... არა! ვეტერანს თურმე ჩოგნის გამოცვლა სჭირდებოდა. და გამოცვალა თუ არა, ზედიზედ 5 გეიმი მოიგო. საქმე კიდევ ერთ ტაიბრეიკამდე მივიდა და გამარჯვება კიდევ ერთხელ ამერიკელს დარჩა.

მეოთხე სეტში უკვე პაველი იყო მორალურად დათრგუნული და აგასიმაც ორი ბრეიკის გაკეთებით მეორე წრის საგზური გამოიწერა.

„დღეს მთლად კარგად ვერ გამოვიყურებოდი, მაგრამ ასე ნეტავ, კიდევ ორი კვირა მათამაშა აქ... თუმცა ვამაყობ, რომ ვიბრძოლე და მეტოქე გავტეხე კიდეც“ — ეს უთხრა აგასიმ ნამატჩევს მასთან ინტერვიუს ასაღებად გასულ კიდევ ერთ ლეგენდას ჯონ მაკენროის.

ახლა ისევ სენსაციებს დავუბრუნდეთ — ყველაზე ხმაურიანი ისაა, რომ ტურნირს მესამე ნომერი ივან ლიუბიჩიჩი ტოვებს. ხორვატი მისივე იარაღით, ძლიერი მოწოდებებით დასცეს. ასე განსაჯეთ, ცაცია ესპანელმა ფელიციანო ლოპესმა თავისი მოწოდებულის 93 პროცენტი მოიგო, 11 ეისი ჩააგდო და ხორვატს ერთხელაც არ მისცა ბრეიკის გაკეთების საშუალება. სამაგიეროდ, თვითონ 5-ჯერ „გატეხა“ ფავორიტი და გემრიელი მოულოდნელობაც გამოაცხო.

დანარჩენ ოთხ გავარდნილ განთესილს ლიუბიჩიჩისნაირი მაღალი ნომრები არ ჰქონია, მაგრამ პირველივე დღეს ერთბაშად ამდენი დაფასებული ხალხის წაგება მაინც აღსანიშნავია.

ფრენით დაიწყო თავის წლევანდელი კამპანია ენდი როდიკმა. იანკთა იმედმა კორტს გააკრა ფლორენ სერა და მხოლოდ ექვსი გეიმი ააღებინა. კარგა ხანია, ენდი ბოი ასეთ ფორმაში არ ყოფილა.

გაცილებით წყნარად ჩაიარა ქალთა სათამაშო დღემ. ერთადერთი მოულოდნელობა ანა-ლენა გრონეფელდის გავარდნა იყო, თორემ ისე ყველა ფავორიტმა გააღწია შემდეგ წრეში.

თავიდან კი გაიფაფხურა მარია ელენა კამერინმა, მაგრამ ამით ჟუსტინ ენენ-არდენს აბა, როგორ დააშინებდა. ჭინკა ბელგიელმა როგორც კი დაინახა, მთლად იოლად არ გამოდისო, მაღალი სიჩქარე ჩართო და 40 წუთში გაუსწორდა აპენინელს.

ტრამვისა არაფერი ეტყობოდა ლინდსი დევენპორტს. შეიძლება პირველობაზე ვერ გავიდესო, კი ამბობდნენ, მაგრამ ჩეხ ზაკოპალოვას სულ ადვილად გადაურბინა.

მეორე წრეში გავიდნენ რუსი ბობოლებიც, ოღონდ თუ ელენე დემენტიევას ამისთვის ნერვიც არ ასტოკებია, სვეტლანა კუზნეცოვას 130-ე ნომერ სანდრა კლოზელთან ტანჯვა-წამების გადატანა მოუხდა.

ძახა ლომაშვილი

ჩიხლაძის +26

US OPEN-ის დაწყების წინ პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციების ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა და იქ მოხსენიებული ქართველების პოზიციებმა, როგორც კაც, ისე ქალთა კლასიფიკაციებში გარკვეული ცვლილებები განიცადეს.

ATP-ის განთესვის რეიტინგში ერთბაშად 26 საფეხურით დაწინაურდა და კარიერის უმაღლეს, 463-ე პოზიციას უწია საქართველოს მეორე ჩოგანმა ლადო ჩიხლაძემ, ვისაც 58 სარეიტინგო ქულა აქვს.

რაც შეეხება ჩვენს საუკეთესო ჩოგბურთელს ირაკლი ლაბაძეს, ვისაც, დევისის თასზე პოლონელებთან გამართულ შეხვედრას თუ არ ჩავთვლით, მისთვის წარმატებული უიმბლდონის შემდეგ არსად უთამაშია, ის 258 ქულით 162-ე ადგილზე იმყოფება და ეს ერთი ადგილით უარესია წინა რეიტინგთან შედარებით. რაც შეეხება ATP-ის საჩემპიონო რბოლას, ამ კლასიფიკაციაში ირაკლი 33 ქულით კვლავაც 105-ე ადგილზეა.

ორი საფეხურით წინ წაიწია და ჩიხლაძის არ იყოს, კარიერის უმაღლეს, 175-ე ადგილს უწია საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა ქალმა მაკა ჩახნაშვილმა, ვისაც 158 სარეიტინგო ქულა აქვს.

77,5 ქულით კვლავაც 297-ე პოზიციაზე იმყოფება სოფო მელიქიშვილი. აი, ანა ტატიშვილმა კი ხუთი ადგილით მაღლა აიწია და 71,5 ქულით 308-ე პოზიცია დაისაკუთრა. სალომე დევიძე პირიქით, სამი ადგილით დაქვეითდა და 20,25 ქულით 605-ე საფეხურზეა. ერთი პოზიცია დაკარგა მანანა შაფაქიძემაც, ვისაც 15,5 ქულით 692-ე ადგილი უკავია. ათასეულში კიდევ ერთი ჩვენებურია — ია ჯიქიამ ოთხი ადგილით მაღლა აინაცვლა და ახლა 8,5 ქულით 872-ე პოზიციაზეა.

ოთხი ქართველი WTA-ს რეიტინგის ათასეულს მიღმაა — სოფო შაფათავას 5,25 ქულით 1060-ე (+5) საფეხური უჭირავს, თეონა ცერცვაძე 4,5 ქულით 1132-ე (+2) ადგილზეა, სოფო ქვაცაბაიას 3,0 ქულა აქვს და 1287-ე (-3) პოზიცია უკავია, ხოლო ნანა უროტაძე 2,25 ქულით 1378-ე (+2) საფეხურზეა.

61-Ე ᲕᲣᲔᲚᲢᲐ. 26 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ-17 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ტორ ჰუსჰოვდმა ოქროსფერი დაიტო(რ)ვა

ᲮᲛᲔᲚᲗᲐᲨᲣᲐ ზღვის სანაპიროზე, ანდალუზიურ მალაგაში დაწყებულმა რიგით 61-ე „ვუელტა ესპანამ“ ჩრდილო-დასავლეთით, პორტუგალიის საზღვრისკენ გადაინაცვლა. მესამე ეტაპი უგრძესი იყო წლევანდელ რბოლაში — კორდობასა და ალმენდრალეხოს შორის მრბოლებს 219 კილომეტრი ჰქონდათ გასავლელი და ეს, თითქმის ორმოცგრადუსიან სიცხეში.

ტრასა მზით გადახრუკულ ველებს შორის გადიოდა და, მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, მაინც იყო გაქცევის რამდენიმე მცდელობა. ერთი პირობა, გაქცეულთა ჯგუფი პელეტონს 7 წუთზე მეტსაც უგებდა, მაგრამ მერე ველოქარავანი ამოძრავდა, წინ წასულებს წამოეწია და ალმენდრალეხოს ქუჩებში ჯგროდ შეიჭრა.

ჯგუფურ ფინიშში ფავორიტებად ამ საქმის დიდოსტატები — ავსტრალიელი რობი მაკივენი, გერმანელი ერიკ ცაბელი და ნორვეგიელი ტორ ჰუსჰოვდი ითვლებოდნენ, მაგრამ, მოულოდნელად, ყველას 24 წლის ესპანელმა ფრანსისკო ხოსე ვენტოსომ აჯობა. „სონი დიუვალის“ წევრებმა მშვენივრად იმუშავეს, ვენტოსოს საფინიშო გზა გაუკაფეს და ამ უკანასკნელმაც ივარგა — მძლავრი სპურტით აჯობა ჰუსჰოვდსა და ავსტრალიელ სტიუარტ ოგრეიდის. რაც შეეხება ცაბელსა და მაკივენს, ისინი სამეულშიც ვერ მოხვდნენ და მეოთხე-მეხუთე ადგილებს დასჯერდნენ.

ვენტოსომ კარიერაში პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა, ხოლო ლიდერის ოქროსფერი მაისურა ჰუსჰოვდმა შეინარჩუნა და უახლოეს მდევართან, ოგრეიდისთან უპირატესობა 11 წამამდე გაზარდა.

ეს ყველაფერი ორშაბათს მოხდა, ხოლო გუშინ „ვუელტაზე“ მორიგი ეტაპი იყო — პელეტონს ალმენდრალეხოსა და კასერესს შორის 142 კილომეტრი ჰქონდა გასავლელი.

ეტაპი ერიკ ცაბელმა მოიგო და ეს ნამდვილად აღსანიშნავი ამბავი გახლავთ — თავის დროზე „ტურ დე ფრანსის“ საუკეთესო სპრინტერისთვის განკუთვნილი მწვანე მაისურას მრავალგზის მომგებ გერმანელს კარგა ხანია, დიდი ველოტურების ეტაპზე გამარჯვების სიხარული აღარ ჰქონდა დაჭაშნიკებული და აჰა, ამდენი წვალების, ამდენი მეორე თუ მესამე ადგილების შემდეგ ცაბელმა, უკვე ასაკშეპარულმა, მაგრამ მაინც ძველებური ჟინით ანთებულმა, იმ ძველებური ეშხით საფინიშო სპურტი განახორციელა და მეტოქეებს, იგივე ჰუსჰოვდსა და ფრანგ ჟან-პატრიკ ნაზონს შანსი არ დაუტოვა.

ცაბელმა ეტაპი მოიგო, ჰუსჰოვდი კი ამჯერადაც მეორე იყო და ამ მეორეობით ნორვეგიელმა საერთო ჩათვლაში თავის ოქროსფერ მაისურას მეტი სიმყარე მისცა — უახლოეს მდევართან ჩამორჩენა 27 წამამდე გაზარდა.

ᲒᲘᲐ ᲛᲣᲯᲘᲠᲘ

AFP

ტორ ჰუსჰოვდი ოქროსფერი მაისურით იწონებს თავს

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲔᲢᲐ�პᲘ. 28 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ. ᲙᲝᲠᲓᲝᲑᲐ — ᲐᲚᲛᲔᲜᲓᲠᲐᲚᲔᲮᲝ. 219 ᲙᲛ.

1. ფრანსისკო ხოსე ვენტოსო (ესპანეთი, სონი დიუვალი)	5სთ. 43წმ. 45 წმ.
2. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი)	
3. სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, CSC)	
4. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი)	
5. რობი მაკივენი (ავსტრალია, ლოტო)	ყველას იგივე დრო

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲔᲢᲐ�პᲘ. 29 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ. ᲐᲚᲛᲔᲜᲓᲠᲐᲚᲔᲮᲝ — ᲙᲐᲡᲔᲠᲔᲡᲘ 145 ᲙᲛ

1. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი)	3 სთ. 24 წთ. 46 წმ
2. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი)	
3. ჟან-პატრიკ ნაზონი (საფრანგეთი, AG2R)	
4. სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, CSC)	
5. ფრანსისკო ხოსე ვენტოსო (ესპანეთი, სონი დიუვალი)	ყველას იგივე დრო

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ

1. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი)	13 სთ. 34 წთ. 59წმ
2. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი)	+27 წმ.
3. სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, CSC)	+27 წმ.
4. ფრანსისკო ხოსე ვენტოსო (ესპანეთი, სონი დიუვალი)	+32 წმ
5. პაოლო ბეტინი (იტალია, ქვიკ სტეპი)	+34 წმ

AFP

მასამ ფორმულა გადაწონა

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ მთავარქალაქ სტამბოლის მახლობლად სარეკორდოდ მოკლე დროში აგებულმა ზეთანამედროვე ავტოდრომმა მეორედ უმასპინძლა საპირველფორმულო ეტაპს.

„სამეფო“ მრბოლები „ისტანბულ პარკში“ სეზონის დასკვნით, ხუთეტაპიან გზას დაადგნენ. ისე, შესაძლოა, ტრიუმფატორის ვინაობა ფინიშამდე გაირკვეს და ბოლო ერთიორი რბოლა ფორმალობაღა გახდეს.

სტამბოლში უდიდეს წარმატებას მიაღწია 25 წლის ფერარელმა ფერნანდო ალონსომ. ჯერ იყო და ყველას აჯობა საკვალიფიკაციო გაჯიბრებაში, მეორე დღეს კი რბოლა როგორც დაიწყო პირველი პოზიციიდან, ასევე ყველაზე წინ დაასრულა. თურქული პოულიცა და დიდი პრიზიც პირველია ბრაზილიელი პილოტის ოთხწლიან კარიერაში.

სტარტზე მასას გვერდით თანაგუნდელი მიხაელ შუმახერი ედგა, მეორე რიგში კი რენოელები — ფერნანდო ალონსო და ჯანკარლო ფიზიკელა მოკალათდნენ.

შუმი ზედიზედ სამი გამარჯვებით ალონსოსთან 25-ქულიანი ჩამორჩენა ათამდე შეამცირა და რომ იტყვიან, ერთი მოგების დისტანციაზე მიუახლოვდა. მართალია, მას ამჯერადაც რბოლის ბოლომდე ცდა არ დაუკლია სატიტულო კონკურენტის საჯობნად, მაგრამ ორი შეცდომის გამო, საერთო ჩათვლაში მიახლოების ნაცვლად, ნანდოს უფრო მეტად დაშორდა.

მიხაელმა დაძვრისთანავე მკვეთრად მარჯვნივ გაიწია ალონსოსთვის გზის მოსაჭრელად. ესპანელმა პირველი მოსახვევის წინ კი გაიბრძოლა, მაგრამ ორი ფერარელის უკან მომწყვდეული ვერაფერს გახდა. ფიზიკელას ოთხ-ხუთ მანქანიან შეხლაში ბოლიდი გვარიანად დაუზიანდა და საპოდიუმო ბრძოლაში ვეღარ ჩაერია.

„წითლებმა“ ისე გარეკეს, რომ თავიდანვე ნათელი გახდა — ფერნანდოს „რენო“ მათი დამწვევი ვერ იყო. ათი წრის შემდეგ ფელიპე და მიხაელი ჩემპიონს შესაბამისად ცხრა და შვიდ წამს უგებდნენ. ალონსოს მხსნელად მოევლინა მე-13 წრეზე ვიტანტონიო ლიუცის გამოთიშვის გამო ტრასაზე უსაფრთხოების „მერსედესის“ გამოსვლა. ლიდერებმა მაშინვე ბოქსებს მიაშურეს საწვავ-საბურავებისთვის. ვიდრე მექანიკოსები მასას მანქანასთან ფუსფუსებდნენ, მიხაელს რამდენიმე წამი ლოდინი დასჭირდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ფერნანდო მის ცხვირწინ დაბრუნებულიყო ტრასაზე. თავის უპირატესობაში დარწმუნებულმა „სკუდერიამ“ ამ აშკარა ტაქტიკური შეცდომით კონკურენტს მეორე პოზიცია „აჩუქა“.

ალონსოს გამოდევნებული შუმახერი შუა დისტანციაზეც შეცდა — მოსახვევში „ფერარი“ დაუბარბაცდა, ტრასას გადასცდა და დამცავ ზონაში ღოღვის შედეგად ოთხწამიანი ჩამორჩენა თითქმის გაორმაგდა.

ამხელა პასივის მიუხედავად, „წითელმა ბარონმა“ მაინც შეძლო გვიანი პიტსტოპის ხარჯზე ესპანელის დაწევა და დასკვნით 50-60 კილომეტრზე უამრავჯერ სცადა გასწრება, მაგრამ ალონსომ ოსტატურად, უშეცდომოდ დაიცვა მეორე პოზიცია და სხვაობაც ორი ქულით გაზარდა.

არადა, ის შეცდომები რომ არა, მეორე ადგილზე მყოფ მიხაელს ფელიპე, ცხადია, წინ გაუშვებდა და ალონსოს უპირატესობაც 12-ის ნაცვლად მხოლოდ ექვსი ქულაღა იქნებოდა.

მაგრამ, ეს უკვე მასას პრობლემა არაა. მან მთელ 300-კილომეტრიან დისტანციაზე უხინჯოდ იჯირითა და თავის 67-ე რბოლაში პირველი და სავსებით დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვა. ბრაზილიელის დუბლი (პოული და მოგება) მე-80 გახდა „სკუდერია-ფერარის“ ფანტასტიკურ ისტორიაში.

ფელიპე 1981 წლის 25 აპრილს დაიბადა სან პაულუში. იგი თითქმის ყველაზე მინიატურულია მეფორმულეთა შორის — სიმაღლე 1,66 მ, წონა 59კგ.

„სამეფო რბოლებში“ მასას დებიუტი 2002 წელს „ზაუბერის“ შემადგენლობაში შედგა. მომდევნო სეზონი „ფერარის“ სათადარიგო მძღოლი იყო, შემდეგ კი ორი წლით ისევ პეტერ ზაუბერის საჯინიბოს დაუბრუნდა. „ზაუბერში“ მეთორმეტე-მეცამეტე ადგილებს ვერ ასცილდა და იმ სამ სეზონში სულ რაღაც 27 ქულას მოუყარა თავი. „ფერარის“ ტოპპილოტობამ კი უკვე პირველივე არასრულ სეზონში უზარმაზარი წარმატება მოუტანა — თერთმეტჯერ რბოლა ჩასათვლელ რვიანში დაასრულა, პირველი დიდი პრიზიც მოიგო და 62 ქულით მყარად დგას მესამე ადგილზე.

„ფერარელთა ძირითად შემადგენლობაში მოხვედრამ ჩემი ცხოვრება საგრძნობლად შეცვალა. პირველ რიგში ეს ოსტატობის ზრდის დიდ პერსპექტივებს მიქმნის. ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მრბოლებს აქ ერთნაირ ტექნიკას აძლევენ, მაგრამ მაინც ყველაზე მთავარია — ჯერ ვისწავლო მიხაელისგან, მერე კი ძის დონეზე გავიდე. ყველაფერს ვიღონებ, რათა მას კონკურენცია გაკუწიო, არა მხოლოდ პირადად ჩემი, არამედ გუნდის ინტერესებისთვისაც.“

ᲒᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ

მერვე ადგილი და სამომავლო პერსპექტივა

ᲩᲕᲔᲜᲘ წყალში მხტომელთა მეწვეურები ფიქრობდნენ, რომ კუალა ლუმპურში გამართულ ახალგაზრდა სპორტსმენთა მსოფლიოს პირველობაზე თბილისელები ჭოლა ჭანტურია და გიორგი გევორქიანი 3-მეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ შეჯიბრებაში ფინალისტთა შორის მოხვდებოდნენ. მართლაც, ამ დისციპლინაში, რომელშიც წყვილთა გამოყვანა თხუთმეტმა ქვეყანამ შეძლო, თბილისელთა დუეტმა მერვე ადგილი (260,07 ქულა) დაიკავა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჭანტურია-გევორქიანი შეჯიბრების მონაწილეებს ასაკით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ, მათი მერვე ადგილი წარმატებად და სამომავლოდ, იმედისმომცემად უნდა მივიჩნიოთ. ვფიქრობთ, რომ ჭანტურია და გევორქიანი მომავალში მედლებს წყვილწყვილად უთუოდ მოიპოვებენ.

ამ დისციპლინაში უძლიერესი იყო ჩინელთა ვანგლინის (321,0 ქულა) წყვილი. მეორე ადგილზე რუსი ლვოვ-გორშკოვის (319,38), ხოლო მესამეზე გერმანელი პიკერ-ქუსდინგის (281,3) წყვილები გავიდნენ.

საინტერესოა, რომ ჭოლასა და გიორგის რუსების გარდა ყოფილი საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთაგან მხოლოდ უკრაინელებმა აჯობეს, რომლებმაც მეექვსე ადგილი დაიკავეს.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲑᲧᲕᲘᲨᲔᲚᲘ

AFP ნიუ იორკიდან

ჩოგბურთის ჯინი და კინგი ბილი

AFP ნიუ იორკიდან

28 აგვისტოს დიდი ზარ-ზეიმით გაიხსნა ამერიკის ღია პირველობა ჩოგბურთში. „ფლეშინგ მედოუზის“ კორტებზე ვარსკვლავთცვენა იყო და დაიანა როსმაც თავისი ნარნარი ხმით განაბა მილეთი. იმავე საღამოს USTA-ს საჩოგბურთო ცენტრს ლეგენდარული ბილი ჯინ კინგის სახელი უწოდეს, რომელსაც, ცხადია, სამადლობელი სიტყვა ერგო და ჩოგბურთის ეს ჯადოქრებიც — ჯიმი კონორსი, ჯონ მაკინროი, კრის ევერტი და ვინუს უილიამსი — მის ოხუნჯობანარევ.მასლაათზე კისკისებენ.

AFP

მამა ციხეში

მზრუნველი მამის, გარი ნეივანდის საქმე გუშინ სასამართლომ გაარჩია და ამ ცნობილ ველოსიპედისტს 18-თვიანი პატიმრობა გამოუწერა. ეს ფოტო კი 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადიდანაა, სადაც ნეივანდმა ტრეკზე ბრინჯაო მოიგო და თავის ვაჟთან ერთად საპატიო წრე დაუარა. ნეივანდს ბრალი გელფრენდთან ძალადობაში დასდეს.

AFP

შრილანკური როკვა

შრი ლანკაზე დასრულდა სამხრეთ აზიის მე-10 თამაშები და ამ ქვეყნის ეროვნულ ჰანგებზე მროკავი ეს ლამაზმანებიც დახურვის ცერემონიალზე აჩვენებენ თავიანთ ოსტატობას. იქვე თქმულა, რომ მომდევნო, მე-11 თამაშებს ბანგლადეშის დედაქალაქი დაკარი უმასპინძლებს.

სოლოს დასასრული

ფრანგ ნიკოლას ტრუსელს წარმატებით დაუძლევია „ფიგარო სოლოს“ საოფროსნო რეგატის ბოლო ეტაპი და მშვიდობიანად შეუცურავს კონკარნუს პორტში, სადაც გასრულებულა კიდეც ეს მარათონული საზღვაო რბოლა, რომელსაც სათავე შორეული ირლანდიიდან, დანგლის ნაპირებიდან აუღია.

AFP კონკარნუდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, არაკლიპერტია, ბაჩო სვანიძე, არაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge